



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

A O U T

1932—N° 80

აგვისტო

1932 წ.

№ 80

დავით აღმაშენებლის საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ე ს პ ე ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ დ.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მეთაური—აჯანყების წლისთავი.

მე—ორი მოხსენება.

ბიბლიოგრაფია.

მის. მუხსელიძევილი—სახელოთა განაწილება.

პანისლამიზმი.

უცხოეთის მიმოხილვა.

ბოლშევიკების აგენტების დამარცხება ქენევაში.

პოლონელ სტუდენტების სმა.

საღვთველი—სმა სოლოვკიდან.

მ.—ანი—31 ივლისი.

ს. ფირცხალავა—ისტორიული ამბები.

ვარშავა და სხვ.

ა გ ა ნ ყ ე ბ ი ს წ ლ ი ს თ ა ვ ი

რვა წელიწადმა განვლო მას აქეთ, რაც პატარა ქართველი ერთი აუჯანყდა დიდ რუსის ერს და მოინდომა მის უღლის გადადგმა. რვა წელიწადი დიდი მანძილია ბოლშევიკურ ჯოჯოხეთში ტანჯვისათვის, მაგრამ ის-ერთობ მოკლეა ქართველ ერის საგმირო მატეანეში. ან კი როდის რგებია საქართველოს ბედად სწორი სწორთან, ტოლი ტოლთან, შებმა. რომ დამარცხების შეშინებოდეს? ვანა ჩვენმა წინაპრებმა არ შეთხზეს ვედრება, მცირერიცხოვანი ქართველი ლაშქარი რომ წარმოთქვამდა ყოველ შეტაკების წინ: ღმერთო, გვარგუნე ხუთი ერთის წინა-ამდევ!

1924 წ. აგვისტოს ასე არ იდგა კითხვა, ძალთა განწყობილება გაცილებით უარესი იყო ქართველ ერისათვის. აქ იყო არა მარტო რიცხვის, არამედ ფსიქოლოგიური დისპროპორციაც. ხმელეთის მეექვსედს დაპატრონებოდა საშინელი ძალა, დაუზოგველი, ვერაგი, მნეცი, რომლის წინაშე ხალხი, ასმილიონიანი ხალხი ძრწოდა, ბნედა მოსდიოდა შიშისაგან, იკუმშებოდა, უჩინარობდა, გაურბოდა თავის ლანდს, რომ ბატონის რისხვა თავს არ დასტვენდა.

მაშ დიდი გამბედაობა, ვიტყვით, სასოწარკვეთილის გამბედაობა უნდა ყოფილიყო საქირო, რომ ქართველ ერს გაერღვია ეს რკინის და ბნედის წყვილი და ეთქვა: არა, მე არ ვემორჩილები. მოვდივარ საასპარეზოთ! გასაკვირი ის კი არ არის, რომ ვერ გაიმარჯვა; არ იქნებოდა გასაკვირი მაშინაც, შეთ-

ქმულობის ყველა გათვალისწინებული ზომები უკლებლათ შესრულებულიც რომ ყოფილიყო; გასაკვირი ის იყო, რომ ერმა გაბედა... და თავისივე ხელით დაიდგა თავზე წამების ვეირგვინი.

აგვისტოს აჯანყებას ჰყავდა თავისი ბელადები, გმირები, ყველა ეროვნული პარტიები მასში იყვნენ ჩაბმული, მაგრამ უდიდესი გმირი, ლალი და შეშუპოვარი, სულგრძელი და რაინდი თვით ქართველი ერთი იყო, მისი აღტყინება, ნებისყოფა, და უფრო კიდევ, გაუტეხლობა, სიმტკიცე დამარცხების მეორე დღეს. ქართველ ერს არ უთქვამს «ამან, მაპატიეთ!» არა, ის თვითვე ავიდა გოლგოთაზე, გაიღო სისხლი, მიიტანა მსხვერპლი სამშობლოს საკურთხეველზე.

აი, რით ვამაყობთ ჩვენ, ვიამაყებთ. განვლენ კიდევ ბევრი წელნი, საუკუნე, ქართველ მოდემის თაობანი იამაყებენ აგვისტო-სექტემბრის დღეებით... მაგრამ რას ვამბობთ, ეს დღეები გამოიწვევენ მრავალ სხვა საგმირო დღეებს, და ყველანი ერთათ ჩაექსოვიან ქართველ ერის მრავალ-საუკუნეიან ბრძოლა-წამების თაიგულს.

შორს არ არის ის დღე, როცა თავისუფალი ქართველი ერთი სამარადისო ძეგლს დაუდგამს საქმეთა ამა საგმიროთა და კელაპტრებით ხელს აღაპყრობს მის წინაშე. მისი მგოსნები, ხელოვანები, სწავლულნი გალექსვენ. დამღერენ, დახატვენ, ჩამოასხმენ, ასწერენ, გამოიკვლევენ თვითველ ფოთოლს ამ სუნელოვან თაიგულისა და ისე გადასცემენ მომავალ თაობას.

მ რ ი მ მ ხ ს ნ ე მ ბ ა

მიმდინარე ზაფხულზე ტფილისში წაკითხულ იქნა ორი მნიშვნელოვანი მოხსენება: ერთი საქართველოს კომპარტიის ცეკას და ც. ს. კ. პლენუმზე — ცნობილ ბერიას მიერ, მეორე — საქართველოს «ცაკის» სესიაზე — არა ნაკლებ ცნობილ ფ. მახარაძის მიერ. ორივე მოხსენება ეხება სოფელს, მოსკოვის პოლიტიკის გატარებას სოფლად და ორივე იძლევა მეტად მძიმე სურათს სოფლის მდგომარეობისა და ჩვენი გლეხის ყოფაცხოვრებისას.

ბერიას მოხსენებას განსაკუთრებული მიზანი აქვს — დაარწმუნოს მსმენელნი და მკითხველნი რომ ქართული ცეკას ახალი შემადგენლობა წარმატებით მუშაობს ძველი ცეკას *) მიერ ჩადენილ შეცდომების გამოსწორების ხაზით. რომ საკუთარი ხელმძღვანელობა უკეთ გამოაჩინოს, ის უღმობლათ ამხელს გასულ შემოდგომამდე არსებულ მდგომარეობას, ნაკლის დაუფარავად, ააშკარავებს ჩადენილ «შეცდომებს». და აი კვლავ აღიწერება თვით მეთაურ ბოლშევიკის პირით მთელი ის ძალადობა, არეულობა, ძარცვა გლეჯა, სასოფლო მეურნეობის განადგურება, რაც მახარაძე-ბერიების მეოხებით შემოსულმა უცხო ძალამ გაამეფა საქართველოს სოფლებში.

ამ საველალ სურათს კიდევ უფრო აძლიერებს ფ. მახარაძის სიტყვა, წარმოთქმული საქართველოს «ცაკის» ივნისის სესიაზე, ხოლო ორივე ერთად საოცრად ამართლებენ და ადასტურებენ იმ ცნობებს ჩვენი გლეხობის მდგომარეობის შესახებ, რომელიც მოგვაწოდეს საქართველოდან გასულ თვეებში ჩვენმა კორესპონდენტებმა.

ასე, მაგალითად, ბერია ადასტურებს, რომ კოლმეურნეობებიდან გლეხთა გაქცევას ამ რამდენიმე თვის წინათ სისტემატიური ხასიათი ჰქონდა. «კოლმეურნეობებიდან გასვლასთან დაკავშირებით ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ მოწყობილ კოლმეურნეობების განმტკიცებას» («კომ.» №141). ამ ზომათგან პირველი მდგომარეობის იმ «შეცდომების» გასწორებაში, «რომლებიც გამოიხატა ვენახის, კარმიდამოს, მიწების, ერთადერთი ძროხის, წვრილი ფრინველის და სხვა იძულებით განსაზოგადოებაში». ქვემო-სვანეთის რაიონში არამც თუ ერთად ერთ ძროხასაც ართმევდნენ გლეხს, არამედ ამ წართმეულ პირუტყვს უზრუნებდნენ მას ზამთარში გამოსაკვებად, რომ გაზაფხულზე კვლავ წაეყვანათ.

*) მკითხველს იქნებ ახსოვს «დამ. საქართველო»-ს ფურცლებზე მოთხრობილი ამბავი გასული წლის შემოდგომაზე მოსკოვის მიერ ყველა ქართულ ბოლშევიკურ ორგანიზაციების «დაფერთხისა» სტალინის აგრარულ პოლიტიკის ვითომდა ცუდად გატარებისათვის. იმავე მოსკოვის დანიშვნით. მაშინ ჩააბარეს საქართველოს კომ. პარტიის ცეკა ლ. ბერიას, ჩეკის ყოფილ თავმჯდომარეს.

«ასეთსავე შემთხვევებს ჰქონდა ადგილი თიანეთის და სხვა რაიონებში. ადგილი ჰქონდა აგრეთვე ცდებს განესაზოგადოებიათ შინაური ფრინველი (თიანეთი) და კვერცხებიც ქი. სამტრედიის რაიონში უფასოდ აგროვებდნენ კვერცხებს კოლმეურნეებს შორის საინკუბაციო სადგურისათვის. მარტვილის რაიონში დაიწყეს ფრინველის განსაზოგადოება» და სხ და სხ. (იქვე). თავის მხრით ფ. მახარაძეც დასტირის ამ ბედმავე ერთადერთ ძროხას: ახალქალაქის რაიონშიაც ართმევდნენ თურმე. ამ ძროხას, მაგრამ მის ნაცვლად 5 ცხვარს აძლევდნენ. სამკვიფროთ ქი, მიუხედავად ცეკას განკარგულებისა, ცხვარსაც ართმევდნენ გლეხებს («კომ. № 142). მახარაძე მოუთხრობდა «ცაკის» წევრებს აგრეთვე იმ ძალმომრეობაზე, რომელიც გამეფებულა საბჭოთა სოფელში. აი მაგალითად, «სოფელ ფაშალში (ერწო-თიანეთის რაიონი) ჰქონდა ადგილი მთელ რიგ უკანონო მოქმედებას, როგორც არის ხევესურთა მკვლელობა და მკვლელთა დაუსჯელობა, სამრეწველო საქონლის გადაძალვა, საგანმანათელო მუშაობის უნუგეშო მდგომარეობა, სრული უყურადღებობა ხევესურულ სოფლებში მესაქონლეობის განვითარების საქმეში, გადასახადების არა კანონიერი გაწერა, ხევესურულ სოფლების მოუმარაგებლობა» და სხვ. და სხვ. (იქვე). ეს ძალმომრეობა მარტო ხევესურეთის ხევედრი როდი ყოფილა. ბორჩალოს რაიონში სოფლის თავმჯდომარე ატარებდა სხვადასხვა დავალებებს «მათრახის და ცემის საშუალებით»... (იქვე). მეორე მხრით, ბ. ნი ფილიძე წარბ შეუხრებელი მოუთხრობს «ცაკს», თურისკორ სძარცვას ქართველ გლეხს კომუნისტური სახელმწიფო. «... დამნაადებები და ფულადი სახსრების მობილიზაცია ჩვენში თითქმის გადაქარბებით იქნა შესრულებული», მაგრამ ეს იმის წყალობით, რომ ადგილი ჰქონდა «უხეშ ადმინისტრაციულ ზედდაწოლას»... «იყო შემთხვევები როცა კულაკები თავისუფლებოდნენ დამნაადებიდან და ფულადი რესურსების მობილიზაციიდან და იმავე დროს კი საშუალო და წარმოიღვინეთ ღარიბი გლეხებიც მოჰყვენ მტკიცე დავალებაში და ინდივიდუალურად დაბევრილთა სიაში. ამ მხრივ აღსანიშნავია შემდეგი რაიონები: აღბულად მანგლისი, ცაკერი, ვანი, ერწო-თიანეთი, ბაღდადი, განსაკუთრებით კი ჩხარის და ზესტაფონის», ე. ი. მთელი საქართველო. მეორე ადგილას ცაკის თავმჯდომარე ამბობს: «გლეხს ხშირად აწერდნენ იმაზე მეტს, რაც მას გააჩნდა და იგი იძულებული ხდებოდა, ეკიდნა სხვი-სხან, რომ შეესრულებია დაკისრებული რაოდენობა»...

ესლა არ იკითხავთ, რა გახდა ბოლშევიკების ხელში სასოფლო მეურნეობა? ბერია იძლევა საამისო ცნობებს. მისი მოწმობით «ტეხნიკური კულტურების» შემოღება ისე იქნა გაგებული, რომ ცდილობდნენ ხორბლფულ კულტურების «დაუყონებლივ მექანიკურად განდევნას». განსაკუთრებით დაზარალდა



სიმინდის მოყვანა, საერთოდ დაეცა პურეულის მოყვანა, ხოლო სანაცვლო მარაგს ხელისუფლება არ იძლეოდა. ბოლშევიკურ ეკონომიკას ყველაზე უფრო ის ახასიათებს, რომ, დააქციეს რა ხორბლეულთა მოყვანა, ვერც ძვირფასი კულტურები ახერხეს. აი მაგალითად ვენახი. 1913 წ. ჩვენში ვენახს 62.000 ჰექტარს. 1926 წ. კი 37.000 და 1931 წ.—39.000. აღმოსავლეთ საქართველოში კი, ე. ი. ჩვენი მევენახეობის მთავარ ცენტრში, ამ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ვენახის ფართობი ისევ შემცირებულია 600 ჰექტარით. კიდევ უფრო საველალაო თამბაქოს ბედი. თამბაქოს ფართობი თურმე წლითი წლე იზრდება: თუ მას 1929 წ. 13 496 ჰექტარი ეკავა, 1931 წ. ეს რიცხვი 22.583 მდე გაიზარდა, ე. ი. 70 პროც. მომატებულია. მაგრამ დახეთ სასწაულს! 1929 წ. მოსავლის რაოდენობა 9.739 ტონს უდრიდა, ხოლო 1931 წელს 9.400 ტონს! აფხაზეთში კი, მეთამბაქეობის ცენტრში, მდგომარეობა კიდევ უფრო უარესი ყოფილა (წარმოება 25 პროც. დაცემულა!). მოდით ეხლა და დაუჯერეთ ბნ ბერიას, როცა ის ირწმუნება—სასოფლო მეურნეობაში საქმე გამოვაკეთეთ მიმდინარე წელშიო და ამის დასამტკიცებლათ სათესი სივრცის გაფართოების ციფრებს იძლევა! «თამბაქოს მოსავლიანობის შემცირებასთან ერთად ძალზე გაუარესდა მისი ხარისხიც», იუწყება სახელგანთქმული ჩეკისტი. ასევე ბამბა (1931 წ. შესრულებულა გეგმის 30 პრ.). მეაბრეშუმეობა ისე უწარმოებიათ, რომ მას «საგრძობლათ გაუტყდა სახელი გლეხის თვალში, მიუხედავათ იმისა, რომ საქართველოში მეაბრეშუმეობას დიდი ხნის განმავლობაში მისდევდენ»; ჩაი: 1930 წ. თესვის გეგმა შესრულებულა 7,2 პრ., ხოლო 1931 წ. 1,1 პრ.; რამის მოყვანაზე წელს სრულიად უარს ამბობენ, რადგან გასულ წელს უცოდინარობის გამო ნათესების 70 80 პროც. დაუღუპავთ, დაღუპულა აგრეთვე (გასულ ზაფხულში) 27 მილიონი წერვი! არა ნაკლებ უნუგეშოა მეცხვარეობის მდგომარეობა. მელორეობის მხრით 1931 წლის გეგმა მხოლოდ 20 პროც. შესრულებულა. პირუტყვის დახრცვა საშვალოდ უდრიდა 48 პროც.! დიდია აგრეთვე ხბოების დაცემის პროცენტი. ცლტა უკეთაა საქმე ცხვარის მოშენების მხრით...

ჩვენ მოვიყვანეთ რამდენიმე ცნობა ზემოთ აღნიშნულ ორ მოხსენებიდან, რომლებიც თავიდან ბოლომდე აჭრელებულია ამავე ხასიათის ფაქტებით, მაგალითებით და ციფრებით. უკვე ეს ცნობები საკმარისია ჩვენი მეურნეობის მდგომარეობის წარმოსადგენათ.

გვერდია რომ კომენტარიები ზედმეტია...

—მე.

ბ ი ბ ლ ი ო ზ რ ა ზ ი ა

«LA GEORGIE ED LE DROIT DES GENS»

Louis Le Fur

Professeur de Droit international
à l'Université de Paris
1932

მას შემდეგ, რაც გერმანიის გამოჩენილმა მეცნიერმა ფონ ლისტმა დასწერა, პირველათ, საქართველოს საერთაშორისო უფლებებზე (Von Liszt, «Die voelkerrechtliche Stellung der Republik Georgien», Berlin 1918); რაც შვეიცარიის ცნობილმა მეცნიერმა ნიპოლმა მოხრდილი შრომა დასწერა იმავე საგანზე (O. Nippold, La Géorgie du point de vue du droit international», Berne 1920),—ზევით დასახელებული მესამე შრომა და ეკუთვნის საფრანგეთის გამოჩენილ მეცნიერს, პროფ. პარიზის უნივერსიტეტისა ლუი ლე ფურს.

ლე ფურის შრომა პირველათ დაისტამბა საერთაშორისო უფლების სამეცნიერო ორგანოში (Revue Générale de Droit International Public, Paris 1932 Juillet-Août), და შემდეგ გამოვიდა საშუალო ფორმატის სუფთა და ლამაზ ცალკე წიგნაკად, გამოცემა A. Pedone, Paris.

«საქართველო და საერთაშორისო უფლება» მით არის, უწინარეს ყოვლისა, ღირსშესანიშნავი, რომ მისი ავტორი ლე ფური აქტუალურ პოლიტიკურ კითხვებსაც ეხება, და ამით არა თუ არაფერი აკლდება შრომის მეცნიერულ ღირსებას, არამედ, პირიქით, დიდ ცნობის მოყვარეობას და თანაგრძობას უღვიძებს მკითხველს მებრძოლ ქართველ ერისადმი.

ლე ფურის სულ რამდენსამე სტრუქტურში გადასცემს ღირსე მკითხველს ქართველ ერის წარსულს და მაშინვე გადადის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატის (1783 წ.) განხილვაზე. ის ამ დოკუმენტს მხოლოდ ისტორიულ მნიშვნელობას აკუთვნებს და, თუ იხილავს, ეს იმიტომ, რომ ნათელ ჰყოს ყველასათვის, საქართველოს არასდროს არ დაუკარგავს საერთაშორისო პიროვნების უფლება. ლე ფურს მოჰყავს მრავალ მეცნიერთა აზრები და საკუთარი გამოკვლევანი იმის დასამტკიცებლათ, რომ მეფე ერეკლეს და ეკატერინე დიდის ტრაქტატი ამხელს სრულს უკანონობას პირველ ანექსიისას და მით არღვევს ყალბ თეორიას თითქო ერთი საუკუნის ბატონობა ახალ უფლებას ჰქმნიდა რუსეთისას საქართველოზე.

როცა ლე ფური შეუდგება ბოლშევიკებთან დადებულ ხელშეკრულების, 7 მაისის 1920 წ., განხილვას, მისი შრომა იღებს დიდათ მიმზიდავ პოლიტიკურ ხასიათს. ის ირონიით შენიშნავს, რომ ხსენებული ხელშეკრულება დაიდვა ბოლშევიკების «თვითგამორკვევითი პრინციპის ძალით», რომ ეს პრინციპი შეტანილია საბჭოთა კავშირის ახალ კონსტიტუციაშიც (მუხლი 4), მაგრამ მოსკოვისთვის სიტყვასა და საქმეს შორის დიდი ზღვარია.

ლე ფურისთვის აშკარაა, რომ მოსკოვის ძალაობა, ოკუპაცია, ვერ შექმნის მისთვის ახალ უფლე-

ბას, საქართველო რჩება, როგორც იყო, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ის ჩამოვლის დიდ და პატარა სახელმწიფოებს, რომელთაც იცნეს თავის დროზე საქართველო; მიუთითებს გენუის და ლონჯონის კონფერენციებზე, სადაც მოსკოვის დელეგატი არ დაუშვეს საქართველოს სახელით ელაპარაკან; მიაქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას საფრანგეთის მიერ სისტემატიურად საქართველოს დაცვას; მოჰყავს ერთა ლიგის რეზოლუციები... ერთი სიტყვით, ავტორი მიუთითებს ყველა იმ მომენტებზე, რომელიც ადასტურებს საქართველოს საერთაშორისო პიროვნების უფლებას.

მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესო და ამომწურავი, მიუხედავად სიმოკლისა, არის წიგნის უკანასკნელი ნაწილი, სადაც ლე ფური გამოდის, ასე ვსთქვათ, იურისკონსულტის როლში და მკვეთრი ლოლიკით ამტკიცებს, რომ თავდაუსხმელობის პაქტის პროექტი, პარაფ-ქმნილი შარშან საფრანგეთსა და საბჭოთა შორის, სრულიად არ ეხება საქართველოს საელჩოს პარიზში. ჯერ, როცა საფრანგეთმა იცნო მოსკოვის მთავრობა, მან რეზერვი გააკეთა საქართველოს შეხახებ და მას აქეთ 8 წელიწადი არსებობს საელჩო—ამბობს ლე ფური; მეორე, საელჩო არის ოფიციალური წარმომადგენლობა, პროექტში ლაპარაკია კერძო ორგანიზაციებზე; მესამე, პაქტის პროექტი ეხება მომავალსა და სხ.

ჩვენ არ გვინდა სიტყვა გაავარძელოთ, უკეთესია თვითონ მკითხველმა დააფასოს, რა დიდ სამსახურს უწევს ლე ფურის შრომა ჩვენს წმინდა საქმეს. «დამოუკიდებელი საქართველო» თავის მოვალეობად სთვლის მიაწოდოს ეს შრომა ქართველ ერს მის ენაზე და მით საშუალება მისცეს დაიწეროს გულის ფიცარზედ ახალი მეგობარი. ლე ფური და, როცა დრო დადგება, დააფასოს ღირსეულად, ქართულად.



სახელმთაგანაწილება

ცენტრალურ ხელისუფლებასა და კონფედერაციამო შექმავალ სახელმწიფოების ხელისუფლებათამებრის, კავკასიის კონფედერაციამო.

(დასასრული)

ვნახოთ ეხლა, თუ რა თვისებებს ანიჭებს კავკასიის პაქტი ცენტრალურ ხელისუფლების ორგანოებს. პირველ ალაგასა საერთაშორისო რიგის თვისებები (მუხ. 2 და 4). მეორე მუხლი ასეა შედგენილი: «მხოლოდ კონფედერაციას აქვს უფლება გამოაცხადოს ომი, შეკრას კავშირები და დასდვას სამშვიდობო და საბაჟო ხელშეკრულობანი». მეოთხე მუხლი კი ამბობს, «რომ მხოლოდ კონფედერაციას ეკუთვნის ლეგაციის უფლება».

აქედან უნდა დავასკვნათ, რომ უდიდესი ნაწილი საერთაშორისო უფლებისა ეკუთვნის საკონფედერაციო ხელისუფლებას. მაგრამ საქირთა აუცილებელი განსხვავების აღნიშვნა. ამიტომ განვიხილოთ სათითაოდ საერთაშორისო თვისებები.

პირველ ყოვლისა ავიღოთ ომის გამოცხადების უფლება. ეს უფლება, უნდა გაბედულად ითქვას, კაცობრიობის სამარცხენოდ, ჯერ კიდევ აკრძალული არაა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიერ. ნაციათა ლიგის პაქტი სრულებით არ კრძალავს მას. ბრიან-კელოგის პაქტი? შეიძლება იკითხოს ვინმემ. ეს პაქტი აკრძალავს ომს, როგორც «ნაციონალურ პოლიტიკის იარაღს». ხოლო ეს აკრძალვა შეიძლება პლატონური დარჩეს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის არ ჰგულისხმობს სხვა სანქციას, თუ არა მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის გაკიცხვას, რაიც საკმარისი არაა. მერე ფართოდ ვსთქვათ, რომელიც საშუალება იძლევათ წინააღმდეგობისათვის, თითქმის სრულებით უსპობენ ამ საერთაშორისო აქტს პრაქტიკულ შინაარსს. შევჩერდეთ მარტო ნაციათა ლიგის პაქტზე. უკანასკნელი სამწუხაროთ ომს არ გამორიცხავს. უდებს მხოლოდ ზოგიერთს სახლვრებს. ცხადია, კავკასიის კონფედერაციას ომის უფლება ექნება ამ სახლვრებში, და ეს მინიჭებული აქვს მას გამორიცხვით წესით. შემავალ სახელმწიფოებს აბსოლუტურად აკრძალული აქვთ ომი სეპარატულად, არა თუ ერთმანეთს შორის, რაიც თავისთავად იგულისხმება, არამედ უცხო სახელმწიფოებთანაც. თუ რამე საფრთხეა მოსალოდნელი, შემავალ სახელმწიფოებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ეს კონფერენციის მუდმივ სამდივნოს, რომელიც მაშინვე მოიწვევს სახელმწიფოთა საბჭოს.

მხოლოდ კონფედერაციას ეკუთვნის აგრეთვე ლეგაციის უფლება. ამ საგანს კაპიტალური მნიშვნელობა აქვს, პაქტი კი ცოტა მოკლედ ეხება. არსებობს აქტიური ლეგაციის უფლება და პასიური ლეგაციის უფლება. უდავოა, რომ პირველი, რომელიც შეიცავს დიპლომატურ წარმომადგენლების გაგზავნის უფლებას უცხო სახელმწიფოთა წინაშე,—ეკუთვნის მხოლოდ კონფედერაციას. შემავალ სახელმწიფოებს არ ეკუთვნით სპეციალური წარმომადგენლობა. რაც შეეხება პასიურ ლეგაციას, რომელიც შეიცავს კონფედერაციის წინაშე წარმოგზავნილ დიპლომატურ წარმომადგენლების მიღების უფლებას,—ეს უფრო სადაო საკითხია. შეიძლება ითქვას ადამიანმა, რომ პაქტი ფორმალურად არ უკრძალავს შემავალ სახელმწიფოებს დიპლომატურ წარმომადგენლების მიღებას და მეორე მხრით, რადგან ეს სახელმწიფოები არსებითად სუვერენობა-მოსილნი არიან, უნდა აღვიაროთ მათვის ეს უფლება. ამგვარი დასაბუთება არაა ღირსებას მოკლებული, მაგრამ დამარწმუნებელი მაინც არაა.

ეს წინამდებელი იქნებოდა იმ მიზნის, რომელსაც ისახავს კონფედერაციის პაქტი. სხენებული მიზანი ჰგულისხმობს საგარეო პოლიტიკის მთლიანობას, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს შემავალ სახელმწიფოების დამოუკიდებლობის დასაცავად. სპეციალურ დიპლომატურ წარმომადგენლობის არსებობა კი თითოეულ სახელმწიფოსთან ცალკე დაახიანებს საგარეო პოლიტიკის მთლიანობას. პაქტის აზრი მოითხოვს აგრეთვე პასიურ ლეგაციის უფლების აკრძალვასაც.



შეიძლება შემავალ სახელმწიფოებს წარმომადგენლები ჰყავდეთ ერთმანეთთან. პაქტი სრულებით არაფერს ამბობს ამის თაობაზე. ამას არსებითი მნიშვნელობა მაინც არა აქვს, რადგან სახელმწიფოთა წარმომადგენლები ისედაც რეგულიარულად ხვდებიან ერთმანეთს სახელმწიფოთა საბჭოში.

დასასრულ რჩება ხელშეკრულებათა დადების უფლება, თუ წემოდ დასახელებული ორი უფლება აუცილებლად და გამორიცივითი წესით უნდა ეკუთნოდეს საკონფედერაციო ხელისუფლებას, ეგვევ არ ითქმის ხელშეკრულებათა შესახებ. მხოლოდ ზოგიერთია ფორმალურად აკრძალული შემავალ სახელმწიფოებისთვის. ასეთია ხელშეკრულობა, რომელიც ეწინააღმდეგება კონფედერაციის არსებას, მაგ. შეკავშირების ხელშეკრულობა ან პოლიტიკური ხელშეკრულობა. მსგავსი ხელშეკრულობის აკრძალვა ბუნებრივია. მაგრამ შემავალ სახელმწიფოებისთვის აკრძალულია საბაჟო ხელშეკრულებანი, რომლებიც შეადგენენ საკონფედერაციო ხელისუფლების კომპეტენციას. ეს უფლება არა საერთაშორისო ხასიათისა, არამედ შინაგანისა და არსებითი მნიშვნელობა აქვს. კავკასიის პაქტში უნდა შექნას არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიური ერთობაც. პირველი იმდენად უფრო ძლიერი იქნება, რამდენად მეორე მტკიცე. იმის თქმა არ მინდა, რომ ეკონომიკა ბატონობს პოლიტიკას. იმას ვამბობ მხოლოდ, რომ ეკონომიური ინტერესების ერთობა ხელს შეუწყობს პოლიტიკური ინტერესების ერთობის გაძაგრებას. კავკასიის პაქტი მეორე და მესამე მუხლში ეხება კავკასიის სახელმწიფოთა ეკონომიური ინტერესების ერთობას. არსებობს ერთი საბაჟო საზღვარი და შემავალ სახელმწიფოთა შორის გაცვლა-გამოცვლა სრულიად შეუზღუდავად. კავკასია იქნება ერთი მთლიანი სავაჭრო. ეს უეჭველად ხელს შეუწყობს მის ინდუსტრიას, ვაჭრობას და საერთოდ ეკონომიურ შემოქმედებას. ამ მთლიანობის შეტანა პაქტში მისი დიდი ღირსებაა.

ასეთია კავკასიის კონფედერაციის ცენტრალურ ხელისუფლების კომპეტენცია. სხვა უფლებები ეკუთვნის შემავალ სახელმწიფოებს და არც ერთი არ შეიძლება ჩამოერთვას მათ, თუ თვითონ არ იქნებიან თანახმა. საკონფედერაციო ხელისუფლების კომპეტენციის გაფართოება შეუძლებელია, თუ არ იქნა გადასინჯული თვით პაქტი. ეს გამომდინარეობს იმისგან, რომ შემავალი სახელმწიფოები არიან სუვერენული სახელმწიფოები.

მაგრამ ეგებ შესაძლებელია ცენტრალ. ხელისუფლების კომპეტენციის გაფართოება გარეშე ფორმალურისა. თუ დავეყრდნობით მხოლოდ ტექსტს, ეს შეუძლებელია. ტექსტი გარკვევით ლაპარაკობს, სახელდობრ პაქტის პირველი მუხლი. ხოლო უნდა დავკმაყოფილდეთ ასეთი შეზღუდვით? საზოგადოებრივ უფლებაში ტექსტს არა აქვს ის მნიშვნელობა, რაც კერძოში. ამ უკანასკნელშიაც უნდა გავარჩიოთ ტექსტის სიტყვა და მისი არსებითი აზრი და ხშირად მოსამართლე უპირატესობას აძლევს უკანასკნელს. საზოგადოებრივ უფლებაში, სადაც საქმე უფრო მნიშვნელოვან ინტერესებს ეხება, საჭიროა მეტი ლიბე-

რალიზა. ხელი არ უნდა ჩავყიდოთ მარტო ტექსტს, არამედ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, თუ რა მიზანია დასახული, რაა არსება. და მხოლოდ ისეთი განმარტებაა გონივრული, რომელიც შეეფერება მიზანს. ეს საზოგადო პრინციპი უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში. რაა მიზანი კავკასიის პაქტისა? ცხადია, დაცვა შემადგენელ სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობისა. ამიტომ პაქტი კონფედერაციის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლად სცნობს ცენტრალ. ხელისუფლებას და ანიჭებს მას საამისო აუცილებელს კომპეტენციას. საჭიროა, რომ საკონფედერაციო უფლებათა განხორციელება. აქედან გამომდინარეობს, რომ ამ ხელისუფლებას ეკუთვნის არა მარტო პაქტის მიერ გარკვევით მინიჭებული უფლებები, არამედ ისიც, რაც საჭიროა ამ უფლებათა შესასრულებლად. ესაა ის, რასაც შეერთებულ შტატებში უწოდებენ «უფლებას, რომელიც იგულისხმება». ეს დოქტრინა შეიქმნა მოსამართლე მარსალმა, შტატების უმაღლეს ფედერალურ სასამართლოს თავმჯდომარემ. და ამის შემწეობით გაფართოვდა ცენტრალურ ხელისუფლების კომპეტენციის თვისებები. განა არ შეუძლია კავკასიის საკონფედერაციო სასამართლოს შესაფერ შემთხვევაში გამოიყენოს ეს დოქტრინა და გააფართოოს ცენტრალურ ხელისუფლების კონპეტენცია? მაგრამ ამას უნდა მიმართოს მხოლოდ მაშინ, როცა კონფედერაციის არსებითი ინტერესი მოითხოვს ან განსაცდელში იქნება მისი ერთობა. ვენდოთ უმაღლეს სასამართლოს მსაჯულების გონიერებას, რომელნიც შესძლებენ მდგომარეობის სათანადო შეფასებას.

მის. მუსხელიძევილი.

პ ა ნ ის ლ ა მ ი ზ შ ი

როგორც წემოდ დავინახეთ, მუსულმანურ ქვეყნის ბნელი მასები განიცდიან ორ მოპირდაპირე ძალის გავლენას. თვითეული მათგანი რთულსა და მრავილფეროვან მოვლენას წარმოადგენს, მაგრამ შეიძლება მათი ორის დროშის ქვეშ დიჯგუფება, — «პანისლამიზმისა» და «ნაციონალიზმისა». ვნახოთ, რას წარმოადგენს პანისლამური მოძრაობა.

პანისლამიზმი ნიშნავს ერთობის გრძობას ყველა «ნამდვილ მორწმუნეთა» შორის. მაჰმადმა ისე ჩაუნერგა ეს გრძობა თავის მიმდევართ, რომ ისლამმა ბევრი დააკლო საქრისტიანოსა და ბრძანა-ხმს, გაეუქმა მოვლობა, ხოლო არ არსებობს იმის მაგალითი, რომ ერთხელ გამაჰმადიანებულს ქვეყანას თავისი რჯული მიეტოვებინოს.

ისლამის ერთობას ორი მოვლენა უწყობს დიდათ ხელს: ხოჯები და სახალიფო. ყოველ წელს არა ნაკლებ 100.000 ხოჯისა, ანუ მოგზაურთა, იყრის თავს მექაში. აქ იკრიბება ყველა ენის და განვითარების მაჰმადიანობა. ხოჯების მექაში თავის მოყრის მნიშვნელობა ცხადია, ეს ნამდვილი პანისლამური

კონგრესია, სადაც მთელის ქვეყნიერობის ასე ვთქვათ დელეგატები რუჯულის საკითხებს ირკვევენ, მის დაცვისა და გავრცელების ვეგმებს აწყობენ. რაც შეეხება სახელმწიფოს, მისი მნიშვნელობა მაკმა- დიანობის პირველ ხანებში ნაჩვენებები იყო უკვე- მართალია ბალდადის დამხობამ დაუკარგა მას მნიშვნელობა, მაგრამ შემდეგში ოსმალეთის სულ- თანებმა დაუბრუნეს მისი ძალა, რა კი მთელმა მაკმადიანობამ იცნო სტამბოლი სახალიფოდ. მაგ- რამ სახალიფო არ არის, როგორც ზოგმა ჰგონია, პა- ნისლამიზმის საფუძველი, ნამდვილი მისი საფუძვე- ლი ხოჯობაა და ჩენუსიას მსგავსი პანისლამური საზოგადოებანი. როგორც ზემოდ იყო ნათქვამი მო- ძრაობა დაიწყო ვაჭაბიტებით, რომელნიც ისლამის გადახალისებას ცდილობდნენ. ამ მოძრაობას ინდო- ეთში და ავღანისტანში პოლიტიკური ხასიათიც მი- ეცა. ეს იყო სამუსულმანო სახელმწიფოების დაქვე- ითების გამო პროტესტი და არა შიში ან სიძულვი- ლი დასავლეთისადმი. ასეთმა სიძულვილმა თავი იჩინა მხოლოდ მე 19 საუკ. შუაში, როდესაც ფრან- გებმა დაიპყრეს ალჟირი, რუსეთი ამიერ კავკასიაში გაბატონდა და ინგლისი ინდოეთში. აქედან იწყება ფანტიკური განწყობილება სამუსულმანო ქვეყნიე- რებისა და სხვადასხვა ადგილას აჯანყებები. ეს აჯა- ნყებანი, თუმცა ერთ და იმავე საფუძველზე აგებუ- ლი, ადგილობრივი იყო და საერთო მეთაური არ უჩ- ნდა. ყველას საფუძვლად ედო ე. წ. «მადპიზმი». მაკ- მადს ეწინასწარმეტყველოს ვითომც, რომ მოვა კა- ცი, რომელსაც «მადპი» (მესიას მსგავსი) ეწოდება და რომელიც დაამყარებს ქვეყანაზე სამართალსა და თანასწორობას. ასეთი მადპიობა ბევრს ფან- ტიკოს დაუჩემებია უწინაც, ცხადია, ასეთი მადპი- ები უფრო ხშირად მოევლინებოდნენ მაშინ, როდეს- საც ისლამმა დასავლეთის ბატონობა განიცადა და საფრთხე იგრძნო. მაგრამ თავისთავად «მადპიზმი» ვერაფერს დადებითს და ხანგრძლივს ვერ შექმე- ნიდა.

ეს კარგათ ესმოდათ პანისლამიზმის მომხრეთა შეგნებულ ნაწილს. ესენი დარწმუნებდნენ, რომ და- სავლეთის უღელის გადასავლებად საჭირო იყო ხან- გრძლივი მზადება და ძალთა შეთანხმებული ხმარე- ბა, შეიგნეს, რომ ისლამის პოლიტიკური განთავი- სუფლება დასავლეთის ბატონობისაგან საჭიროებს ღრმა სულიერ გარდაქმნას, იმ სულის სიმტკიცეს, რომელიც ჯერ საჭიროა განმათავისუფლებელ ბრძოლისათვის და მერე მტკიცე აღმშენებლობისა- თვის. ამ წერტილამდე პანისლამისტები და ლიბერა- ლები ერთად იყვნენ. აქედან იწყება მათი გაყოფა: ლიბერალების აზრით, ისლამმა უნდა შეითვისოს დასავლეთის იდეები, პანისლამისტებს კი მიანიათ, რომ პირვანდელი ისლამი შეიცავს ყველაფერს, რაც კია საჭირო მის განახლებისათვის.

პანისლამურ მოძრაობას, რომელიც მე-19 საუკ. შუაში იწყება, ორი კერა აქვს: სასულიერო ძმობანი და მოაზროვნეთა ჯგუფი, რომელთაც მეთაურობს ჯემალ-ედ-დინი. სასულიერო ძმობანი არსებობ- დნენ საუკუნეთა განმავლობაში, მაგრამ ისინი უფ- რა სარწმუნოებრივ ნიდავზე იდგნენ და მათი გავ-

ლენა ამ ქვეყნის საქმეებზე მეტად ნაკლები იყო. მით უმეტეს რომ ერთმანეთში მეტოქეობდნენ.

მე 19 საუკ. შუაში გაჩნდნენ მხოლოდ ახალის სახის ძმობანი და მათში უმნიშვნელესი სენუსიია, რომელსაც მისის დამაარსებელის, სადი-მოკამედ-ბენ სენუსის, სახელი დაერქვა. ეს ძმობა მოდებულია მთელ არაბეთს და აფრიკეთის ჩრდილოეთს, განსა- კუთრებით ამ უკანასკნელში ამ სენუსიიებს მოპოე- ბული აქვთ ისეთი გავლენა და პიტივისცემა, რომ ინგლისურ, ფრანგულ და იტალიურ საკოლონიო ხელისუფლების გვერდით თათქო სხვა უჩინარი ხე- ლისუფლებაც არსებობს, ევროპიელი მოხელენი ერიდებიან ყოველსავე უთანხმოებას ამ უჩინარ ძა- ლასთან, ხოლო სენუსიებიც თავის მხრით ერიდებიან მათთან პირდაპირ შეტაკებას.

ამ ძმობის მიზანია სამუსულმანო აფრიკეთის და შემდეგ მთელის მუსულმანობის გაერთიანება ისლა- მის პირველ დროინდელ «იმამატის» მსგავსად. შექ- მნა ერთ დიდ სარწმუნოებრივ სახელმწიფოსი, სხვა- ნაირად პანისლამიზმი. ამ მიზნისათვის ილწვის ძმო- ბა დაულალავად,—ქადაგებს, ასწავლის და ქმნის დისციპლინას. მიზნის მიღწევის დროს მხოლოდინ- ში, ეს ძმობა თავს იკავებს ყოველსავე გამოხვლები- სავა და მხოლოდ ქადაგების,—და ყოველი მაკმადი- ანი ბუნებით პროპაგანდისტია თავის რუჯულის,— მონასტრების დაარსებით და ხალხის ზნეობის ამაღ- ლებით ემზადება ამ მომავლისათვის.

ამ მოღვაწეობის შედეგია, რომ მაკმადიანობა ვრცელდება აფრიკეთში, იჭრება მართმადიდებელ ეთიოპიაში და საზოგადოდ ძლიერდება. წინა თავში ვაკვრით იყო ნათქვამი, რომ ალორძინება რუსე- თის თათრებსაც შეეხა. ამ ალორძინებასთან თავი იჩინა უფრო გამუსულმანებამ. მართმადიდებელი ეკლესია ხელისუფლების დახმარებით დიდი ხანია ილწვის რუსეთში მუსულმანთა გაქრისტიანების- თვის და ზოგჯერ მიზანსაც აღწევდა, მაგრამ ალორ- ძინების სიომ დაკკრა თუ არა, მუსულმანებმა იწყეს ქადაგება გაქრისტიანებულ მოძმეთა შორის და სულ ცოტა ხანში უმრავლესობა დაუბრუნდა ძველ რუჯულს.

არ გადაურჩა ამ მოძრაობას არც ჩინეთი, სა- დაც უეიწყარ დროიდან არსებობდა მაკმადიანობა. მე 19 საუკ. მისის წყალობით მოხდა რამდენიმე ამ- ბოცება და ჩინეთის თურქესტანმა და ერთ ერთმა პროვინციამ იუნანმა, რამდენიმე წლით დამოუკი- დებლობაც კი მოიპოვეს. ჩინეთის მთავრობამ ბო- ლოს სძლია მემამბოხენი, მაგრამ ვერ გატეხა სულით და დღეს ჩინეთში 10 მილიონი მუსულმანია.

ენლა ვნახოთ, რას წარმოადგენს პანისლამიზმის მეორე მიმართულება, რომელიც დაკავშირებულია ჯემალ-ედ-დინის სახელთან.

Sidi ჯემალ-ედ-დინ ელ-ავღანი დაიბადა სპარ- სეთში, მაგრამ როგორც მოწმობს მისი სახელი, ავ- ლანელია უფრო, ხოლო სიტყვა «სიდი» ნიშნავს წი- ნასწარმეტყველის შთამომავალს და, მამასადამე, არაბის სიზხლი უნდა ერიოს. მხენ, ნაკითხი, ძლიე- რის გონების პატრონი, სადაც კი გამოჩნდა, დიდი გავლენა მოიპოვა. ელ-სენუსის წინააღმდეგ, ჯემალ-



ედინი არაფრად დაეძებს ღვთისმეტყველებას და უფრო პოლიტიკით არის გატაცებული. დასავლეთის ბატონობის საფრთხე მას ყველაზე უკეთ აქვს შეგნებული და თავის საცოცხლე მან მესწირა საინსლამოს გაფრთხილებას და თავდასაცველ საშუალებათა შემუშავებას. ევროპული საკლონო ხელისუფლება ძლიერ მალე მიხვდა, თუ რა საშიშარ აგიტატორთან ჰქონდა საქმე. ინდოეთში ერთხანს დაპატიმრებული ინგლისელების მიერ, გადავიდა ეგვიპტეში და იქ მიიღო მონაწილეობა ევროპიელების წინააღმდეგ მოძრაობაში. დაიპირეს ეგვიპტე თუ არა, ინგლისელებმა მაშინვე გააძევეს. ბოლოს ჯემალედინმა სტამბოლს შეაფარა თავი. სადაც ჰაბდულ ჰამიდი, რომელიც ამ დროს აწყობდა თავის პანისლამისტურ პოლიტიკას, აღმოუჩნდა მფარველად და პანისლამურ პროპაგანდის მეთაურად გახადა.

ჯემალედინის პრინციპები მოკლედ ასეთია: «საქრისტიანო, მიუხედავად ეროვნებათა და ტომთა სხვადასხვაობისა, გაერთიანებული აღმოსავლეთისა და განსაკუთრებით ისლამის მიმართ წინააღმდეგობაში და სურს დააქციოს ყველა მუსულმანური სახელმწიფოები.

«ჯვაროსნობა გრძელდება. ქრისტიანობას ჯერ კიდევ სძულს და ეზიზღება ისლამი, სხვათა შორის ეს ეტყობა საერთაშორისო სამართალს. რომელიც მუსულმანურ ერებს არ სთვლის ქრისტიანების თანასწორად.

«ქრისტიანი მთავრობანი თავს იმართლებენ, როდესაც ეცემიან და შეუტაცხეფენ სამუსულმანო სახელმწიფოთ, იმით, რომ ესენი ჩამორჩენილი და ბარბაროსები არიანო, და თვითონ კი ყოველ ნაირად, ზოგჯერ ომითაც უშლიან მუსულმანურ ქვეყნების აღორძინებას და რეფორმების ყოველ ცდას.

«საქრისტიანო სასაცილოდ იგდებს და ცილს სწამებს მუსულმანთა ყველა გრძობებს და ყველა მისწრაფებათ. ევროპიელები «ფანატოზმს» ეძახიან აღმოსავლეთში იმას, რასაც თავიანთს «ნაციონალიზმად» და «პატრიოტიზმად» აქვთ მონათლული, და რასაც თვითონ «თავის თავის პატივისცემადა» «სიამაყედ», «ეროვნულ ღირსებადა» სთვლიან, აღმოსავლეთში «მოვინიშნად» გამოიყავთ. რაც დასავლეთს ეროვნული გრძობაა. ის აღმოსავლეთს უცხოელების სიძულვილია.

«ამის დასკვნა ისაა, რომ მთელმა მუსულმანურმა ქვეყანამ თავდასაცველი კავშირი უნდა შეკრას, რომ თავი დააღწიოს მოსპობას. ამისათვის კი უნდა შეიძინოს ევროპიულ პროგრესის თექნიკა და შეისწავლოს ევროპიულ ძლიერების საიდუმლოებანი».

ასეთი იყო ის საფუძველი, რომელზედაც ააშენა აბდულ-ჰამიდი თავისი პანისლამური პოლიტიკამან მალე მოუღო ბოლო პროგრესულ მოძრაობას, გააუქმა პარლამენტი, რომელიც ის-ის იყო ისახებოდა და დაადგა ნამდვილ პანისლამურ პოლიტიკას, რისთვისაც დიდათ გამოიყენა ხალიფის ღირსება. სტამბოლი გახდა მეორე მექა. აქედგან იგზავნებოდა მთელ მუსულმანურ ქვეყანაში ემისარები,

რომელნიც აიშლებდნენ ხალიფის სახელით ყველა ქვეყნის მაჰმადიანებს და პირდებოდნენ ურჯულთა ბატონობისაგან მალე განთავისუფლებას.

ძნელია ითქვას, რას მიაღწევდა ჰამიდის ოცდაათის წლის პანისლამური პროპაგანდა, რადგან, თუ ერთის მხრით მან ააშალა ხალიფის მნიშვნელობა იქამდისინ, რომ მუსულმანური მასები ხედავდნენ მასში რჯულის ნამდვილს მცველს; მეორე მხრით მან ვერ მიიმხრო პანისლამიზმის დიდი მეთაურნი, როგორც მაგალითად ელ-სინუსი, რომელიც იქვით უყუბებდნენ მის მოღვაწეობას. მაინც უნდა ითქვას, რომ აბდულ-ჰამიდის პანისლამურმა პროპაგანდამ ღრმა კვალი დასტოვა მუსულმანურ ცხოვრებაში.

«ახალგაზდა თურქების» რევოლიუციამ შეაფერხა ერთ ხანს პანისლამური მოძრაობა ახალ მცნებათა ქადაგებით, როგორიცაა კონსტიტუციონალიზმი, ნაციონალიზმი, სოციალიზმი, მაგრამ ცალკე იტალიის ტრიპოლიტანიაში შექრამ: ცალკე ბალკანეთის სახელმწიფოთა გალაშქრებამ ოსმალეთზე 1912 წ., რუსეთ-ინგლისის მიერ სპარსეთის რევოლიუციის ჩახჩობამ და საფრანგეთის მაროკოში გაძლიერებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ისლამზე. მთელი მუსულმანობა აიტანა სასაოწარკვეთილებისა და სიძულვილის გრძობამ,—თითქო მკტიციდებოდა ჯემალედინის სიტყვა, დასავლეთის მოსპობას უქადის ისლამსაო. იტალიას ეგონა ოსმალეთთან ჰქონდა საქმე, აშბობდა საფრანგეთის გამოჩენილი ისტორიკოსი ჰანოტო, და აკი მოპირდაპირედ მთელი ისლამი აღმოუჩნდა. მით უარესი მისთვის, მით უარესი ჩვენთვის».

მაგრამ ისლამის უკიდურესი გააფრთხება გამოიწვია ბალკანეთის სახელიწიფოთა გალაშქრებამ ოსმალეთზე, მთელი მუსულმანური ქვეყანა ჩინეთიდან აფრიკეთის შუაგულამდე სულგანაბული მისჩერებოდა ბალკანეთს, და, გავარდა თუ არა ოსმალეთის დამარცხების ხმა, უკიდურესად აღშფოთდა. ერთი გამოჩენილი ინდოელი მაჰმადიანი საუკეთესოდ გამოხატავს ამ სულისკვეთებას: «საბერძნეთის მეფემ ახალი ჯვაროსნული ომი გამოაცხადა, ლონდონის კანცელარიები ქრისტიანების ფანატიკოსობას მოუწოდებენ და პეტერბურგი წმ. სიფიოზე ჯვარის ამართვაზე იწყებს ლაპარაკს. ხვალ იერუსალიმზე დაიწყებენ ლაპარაკს და ომარის მეჩეთზე. ძმანო, განიშკვალეთ ერთის გრძობით, ყოველი მორწმუნე ვალდებულია ხალიფის დროშის ქვეშ დადგეს და რჯულის დაცვას შესწიროს სიცოცხლე». ხოლო მეორე ინდოელი აფრთხილებდა ინგლისს, შეიცვალე თურქებისადმი მტრული განწობილება, ვიდრე თავს იჩინდეს შენ ქვეშევრდომთა მილიონების ბრაზი და კატასტროფა არ მომხდარიყოს.

მაგრამ უფრო საყურადღებოა ის მიმართვა მუსულმანობისა არა მუსულმანთა მიმართ, რომლის მსგავსი ისტორიას არ ახსოვს. მაჰმადი, რომელიც თავის თავს მოსესა და ქრისტეს მემკვიდრეთ სთვლიდა, ერთნაირ პატივისცემას მოითხოვდა ახალ და ძველ აღთქმათა ხალხებისა, ქრისტიანებისა და ებრაელებისადმი. ამიტომ ქრისტიანებისადმი



სიძულვილი ვერ შეედრება იმ უსამზღვრო სიძულვილს, რომელსაც იწვევდა მუსულმანებში წარმართობა, როგორც ბრამანიზმი, ბუდიზმი და კონფუციანიზმი.

და აი ამ წარმართ მიმართავს მუსულმანობა და დასავლეთის საწინააღმდეგოდ გაერთიანებისაკენ იწვევს. წარმართ იაპონლების გამარჯვებას რუსებზე აღტაცებაში მოჰყავს მუსულმანობა. რა თქმა უნდა პანისლამური აზრი ცდილობს ამ წარმართ გმირების მოქცევას. არსდება ყურნალები, იგზავნება პრაქტიკური ღმერთები და სულთანი მთელ დელეგაციას გზავნის იაპონიაში. ერთი შეიხი სწერს, იაპონიას თუ სურს ერთ დღეს უდიდესი სახელმწიფო გახდეს და აზიას მიანიჭოს ქვეყნიერობის ბატონობა, მხოლოდ ისლამის მიღებით შესძლებს ამას.

მაგრამ იაპონიას არავითარი სურვილი არ ქონდა გამამადიანებელიყო.

საკვირველია, რომ ომის დროს არ გაისმა საერთო მუსულმანურ გამოსვლის ხმა. გაერთიანებულ მამუდიანობის აჯანყება არც ისეთი უნიადაგო გამოდგარა, როგორც ეს ქონდათ წარმოგვილი მოკავშირეთ, მაგრამ, რომ ეს არ მომხდარიყო, — მათის აზრით დასავლეთის წინააღმდეგ გადამკრულ გამოსვლისათვის დრო არ იყო მომწიფებული: არც საშუალება დაგროვილი და არც შეკავშირება დასრულებული ცალკე მუსულმანურ ნაწილებს შორის და ცალკე სამუსულმანოსა და არა მუსულმანთა შორის. ურთიერთ შორის ბრძოლამ დაასუსტოს დასავლეთის ერები, ამბობდნენ ისინი, და უფრო სავსედ გამოქვადნენ დასავლეთის განძრახვა მაჰმადიანობის მიმართ, მანამდისინც ისლამმა ავროპას ძალები და ელოდეს ხელსაყრელ მომენტს.

ვერსალის კოფერენციამ მართლაც გამოამქლავა ევროპის განძრახვანი. ოსმალეთი დანაწილებული გამოდგა დიდ სახელმწიფოთა შორის და ახლო და შუა აღმოსავლეთი ევროპის პოლიტიკურ ბატონობის ქვეშ მოქცეული.

მაგრამ საკითხი გართლდა. დიდ ომის დროს მოკავშირეთა მეთაურებმა არა ერთხელ განაცხადეს საჯაროდ, რომ ომის მიზანი ქვეყნიერობის ახალ წესზე მოწყობა და რომ ეს ახალი წესი დამყარებული იქნება პატარა ერების უფლებათა ცნობაზე და ხალხთა თავისუფლებაზე. აღმოსავლეთმა დაიხსოვა ეს დაპირება, და, როდესაც ომს შედეგად მოჰყვა გაძლიერებული იმპერიალიზმი, ყველგან იფეთქა უკიდურესმა წყრომამ.

უკანასკნელ დროის მოვლენანი უფრო ნაციონალისტურ მისწრაფებათა გამომხატველია, ვიდრე პანისლამურისა. ოღონდ ნუ დავიწყებთ, რომ, რა განსხვავებაც არ უნდა იყოს ნაციონალიზმსა და პანისლამიზმს შორის, ისინი მუდამ მზათ არიან გაერთიანდნენ ევროპის ბატონობის წინააღმდეგ, და მითი მიზანია ისლამის განთავისუფლება ევროპის პოლიტიკურ მზრუნველობისაგან.

ვნახთ ესლა, როგორია პანისლამიზმის დღევანდელი მდგომარეობა ამ გარემოებათა მიხედვით.

პანისლამიზმი არ არის გარეგან მუქარით შექმნილი მოვლენა. მას საფუძვლათ უდევს ერთობის ის

გრძობა, რომელიც ბევრად უფრო მძლავრია მუსულმანებში, ვიდრე ქრისტიან ერთა შორის. მუსულმან ხალხთა შორის კავშირი არ არის მხოლოდ სარწმუნოებრივი, არამედ სოციალური და ინტელექტუალური. მორისონის სიტყვით, «ისლამი მხოლოდ სარწმუნოება კი არაა, არამედ სრული სოციალური სისტემა; ეს არის ცივილიზაცია, რომელსაც აქვს საკუთარი ფილოსოფია, კულტურა და ხელოვნება. ქრისტიანობის წინააღმდეგ ხანგრძლივმა ბრძოლამ ორგანულ ერთეულად გადააქცია იგი.»

ამ ცივილიზაციას სვოლის თავისად ყოველი მუსულმანი. მართალია უკანასკნელ ომის დროს «ახალგაზდა თურქებმა» გერმანელების წაქეზებით «წმიდა ომი» გამოაცხადეს. ეს წმიდა ომი ვერ გამოდგა ნამდვილი წმიდა ომი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის ერთ დღეს არ გამოდგეს შესაძლებელი, თუ ვიქონიებთ სახეში იმ მუშაობას, რომელიც სწარმოებს მუსულმან ქვეყანაში. 1900-ში მთელ სამუსულმანოში რომ 200 ყურნალ-გაზეთი არსებობდა, 1906 ეს რიცხვი 500 ავიდა და 1914-ში 1000-ს გადააცილა. სტამბოლის გაზაფხულის ინდოეთში შეხვედებით, ინდოეთისას — ეგვიპტეში და ეგვიპტისას — თეირანში.

ასეთია სარწმუნოებრივი და პოლიტიკური მხარეები პანისლამიზმისა. გავსინჯოთ ესლა მესამე ეკონომიური.

ამ ნახევარ საუკუნის წინ მუსულმანური ქვეყანა საშუალო საუკუნეთა დონეზე იდგა ეკონომიურად. შერიატის მიერ ფულის სარგებლით გასესხების აკრძალვა შეუქმნებელ ხდიდა თანამედროვე ეკონომიური ცხოვრებას. დასავლეთმა ისარგებლა ეს. შეიტანა საქონელი, კაპიტალი, ჩაიგდო ხელში კონცესიები და ამრიგად ხელში ჩაიგდო მთელი ეკონომიკა. ისლამი შეაძრწუნა ამ ექსპლუატაციამ, რომელსაც უწევდა დასავლეთი და შეეცადა ეკონომიურად აღორძინებას. მან უკუაგდო შერიატის აკრძალვანი, და გაჩნდა მაჰმადიანის აძალი ტიპი, დიდი ვაჭარი, გემების დამკირავებლები, ბანკირები და სხ. ამ ნიადაგზე უფრო ადვილი გახდა შეკავშირება პანისლამისტებსა და ლიბერალებს შორის. მათი საერთო ეკონომიური პროგრამა: ისლამის სიმდიდრე — მუსულმანებს, ვაჭარობის და მრეწველობის მოგება მუსულმანებს და არა ქრისტიანებს. ბუნების სიმდიდრენი, — მალარობი, ტყეები, რკინის გზები, საბაჟოები, რომელიც ხელში ჩაიგდეს ევროპელებმა, უნდა დაუბრუნდეს მუსულმანებს. ასეთია ეკონომიურ პანისლამიზმის სულისკვეთება.

უცხოეთის მიმოხილვა.

ღმი პულისათვის.

საბუთო სამფლობელო რაღაც დაუჯერებელ, ზღაპრულ, უსახდგრო უდაბნოს წარმოადგენს, სადაც გაჩაღებულია საშინელი ველური ომი პურისათვის. მონაწილენი: ერთის მხრით, სამპიროვანი გლეხი: კალხოხელი, სოვხოხელი, კულაკი, მეორეს მხრით, ხელისუფლება: კომისარი, უდარნიკი, კოლპერატორი, წითელარმიელი, ჩეკისტი — ყველანი კალიასავით



მოდებთან მიმდრეხვს, დარვიან და სტაცებენ ერთ-მანეთს პურს. სრულიად უჩვეულოა სამპიროვან გლეხის, მომწვევის როლი: გამზავებით იგერიებს ხელისუფლების დამქაშებს, იპარავს ათასი ზერხით საკუთარ პურს, თუ არა და, სპობს, ცეცხლს უკიდებს, ოღონდ ხელისუფლებას არ ჩაუფარდეს. მოსკოვი დეკრეტს დეკრეტზე აცხობს, ნიშნავს უმაღლეს სასჯელს. სიკვდილს, საკუთარი პურის, თავის ნაოფლარის «მითვისებისათვის»!

რაშია საქმე? ვის გაუგონია ივლის-აგვისტოში, პურის მოჭრის თვეებში, ასეთი სიხარბე, გაუმადლობა? ან კიდევ შიმშილი? დაიხ, ხალხი სინამდვილეა. უკრაინა, მსოფლიო პურის ბეღელი, დამშეულია! პურს ჭრიან და შიმშილობენ, ასეთი შეუსაბამობა არ გავონილა. არც დაიჯერებს ქუთათმყოფელი. მაგრამ ასეა, არც მეტი, არც ნაკლები. მოჭრილი ძნები მიაქვს ჩაყენებულ ვეზეკუციას, გლეხი ძეგებს მატარებლების სახურავებზედ ადგილს, რომ თავის პურს თან გაყვს თუ გინდ ჯანდაბაში. პური მიაქვთ ხელისუფლების ცენტრებში დამშეულ მუშებისთვის, უკრაინის ცენტრები კიევი, ოდესა ცალიერდება ხალხისაგან, ზოგი გაბრბის, უფრო მეტი იხრება შიმშილით, გადამდები სენით, რიგში დგამით.

თუ ასეა ამ ზაფხულის მიწურულში, რა უნდა იქნეს შემოდგომას, ზამთარში? ვის ახსოვს ხუთწლიანი, ინდუსტრიალიზაცია, სოციალიზაცია, ლენინი, თვით სტალინი! უკანასკნელი, ამბობენ, ავათაა, კვდება, კავანოვიჩი მის ადგილს ეკავებს, ვოროსილოვი ყალყზე დგება, კალინინი წვერით დააბესო... ვინ იცის, რამდენ ჭორებს არ ავრცელებენ, და ამას ზედ ერთვის სამხედრო შტაბის რაღაც შავი განზრახვანი... ალბათ გონს მოდიან: თუ ქვევიდან არა, ვინძლო ზევიდან დავკრათ.

დასკვნა ერთია: მთავრობაძე კვდება, ხალხი, რასა იქს ხალხი?!

პაქტქანია.

პარიზის ერთმა დიდმა ვაზეთმა, ამ სათაურით, ღირსშესანიშნავი მეთაური გამოუშვა. ვის უკრავთ პაქტს, ბოლშევიკებს? გადაირიეთ, როდის შეასრულეს მათ სიტყვა, განა ბურჟუაზიის გაცურება მათი მეთე ცნება არ არის?—ეკითხება ის საფრანგეთის მთავრობას. მეთაურის ავტორს, ეტყობა, გამოპარვია ომი პურისათვის, რაც რუსეთში მქინვარებს, თორემ სხვა ახალი საბუთიც ექნებოდა პაქტის უსარგებლობის დასამტკიცებლათ.

ამიტომ ის სერიოზულათ აფრთხილებს პოლონეთის მთავრობას, მოსკოვს რომ ამას წინათ პაქტზე ხელი მოუწერა. არ გააკეთო რატიფიკაცია, ნუ მოსტყუვდები, სამხედრო სამხადის ხელს ნუ შეუშვებო. მეთაურის ავტორს ისიც გამოპარვია, რომ პოლონეთის მთავრობას სჯერა საბჭოთა რეჟიმის ხანგრძლივობა, თუ არა სჯერა, ძალიან უნდა, რომ ის გაგრძელდეს, იცოცხლოს, ყოველ შემთხვევაში, ურჩევნია სუსტი მეზობელი აღმოსავლეთით, როცა დასავლეთით ძლიერი მეზობელი აწება... მოსკოვის სიტყვა მას არა სწამს, რა თქმა უნდა, დიპლომატიური დივერსია, თუ გინდ ფუტურაც, ფასობს ამ დროებით.

ჯიუტობს მხოლოდ რუმინია, არ უნდა მოაწეროს, თუ მოსკოვმა ბესარაბიაზე ხელი არ აიღო. თორემ პაქტიც და განუწყვეტელი იარაღის ჩხარა-ჩხური დნესტრის ნაპირებიდან—ვის გაუგონიაო, ამბობს ახალგაზდა კაროლი. ეე, ის ხომ კოპენცალოერია, ბერლინისკენ უჭირავს თვალი, ან მოაწერე ან დაივიწყე ძველი მოკავშირენიო—შესძახებს პარიზის პრესის ერთი ნაწილი. და მუქარის გასანაღდებლათ «პეტროფინა» ექვსი წლით ეკვრის «ნეფთოსინდიკატს» კავკასიის მახუთის და ბენზინის შესაძენათ, წელიწადში ნახევარ მილიონი ტონის, და რუმინის ნაფთს არ უშვებს თავის ბაზარზე.

ამასობაში დოვგალევსკი ახმირებს ერიოსთან დარბაზობას, უჩქარის პარაფ გაკეთებულ პაქტის ხელის მოწერას. ეს მისი პირადი ინტერესიცაა, რადგან მოსკოვი დაემუქრა: თუ არ გაგიყვანია, ელჩობიდან გამოვიწვევო. რას იტყვის საფრანგეთი მისი მთავრობა? ამბობენ, რუს ფრანგების ძველი ალიანსი იღვიძებსო, მოსკოვი უნდა გამოვგლიჯოთ ბერლინს კლანჭებიდანო. ერთი სიტყვით, ძველი ორიენტაცია იმარჯვებსო.

და დამრწინ დადლილინი, უნდათ ბანკთა კონსორციუმი, კრედიტი მოსკოვსო. აი, ჯერ-ჯერობით პაქტომანიის პირველი ნალეკი.

წინათსწორება.

გერმანიის არჩევნებმა ვერაფერი გადასწყვიტა 31 ივლისს. ძალთა განწყობილება რაიხსტაგში იგივე არ დარჩა, მართალია, მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობა მაინც ვერ ჩაიგდო ხელში ნაციმ, მიუხედავთ სადეპუტატო ადგილების გაორებისა. ეს უნდოდა ფონ პაპენის და გენ. შლაიხერის მთავრობასაც, რადგან უმრავლესობა არ ერგოთ არც მემარჯვენეთ, არც მემარცხენეთ, მაშ ისევ ჩვენ ვრჩებით, პრეზიდენტის მთავრობათ.

ყოველ შემთხვევაში, არჩევნების მეორე დღეს თითქო სამოქალაქო ომის ქარმა დაბერა, ელოდენ ნაციის გალაშქრებას ბერლინზე, ამის წინამორბედი თითქო კიდევ გამოჩნდა აღმოსავლეთ პრუსიაში, სადაც ჰიტლერის შემტევმა რაზმებმა ტერორისტული აქტები გაახშირეს.

მაგრამ თვით ჰიტლერმა მოლაპარაკება არჩია, ის მოხერხებულათ შიტიყუა გენ. შლაიხერმა; შემდეგ დარბაზობა ჰქონდა ფონ პაპენთან და თვით ჰინდენბურგთან. ჰიტლერმა მოითხოვა მთელი ხელისუფლება უკლებლათ, მას უარი უთხრეს და ამასობაში მან გაუშვა მომენტი, მთელი ორი კვირა, და მით ბერლინზე შეტევა ჩაიფუშა.

დამყარდა არაჩვეულებრივი წინათსწორება: მარჯვენე ნაცი თავისი 13 მილიონ ამრჩევლით, მარცხნივ სოციალდემოკრატები და კომუნისტები, ესენიც 13 მილიონ ამრჩევლით, ერთმანეთს შეპყურებენ, ვერ ბედვენ გამოსვლას. შუაში პრეზიდენტის მთავრობა თავის ჯარით და პოლიციით, როგორც გამზავებელი.

და როგორც აპოთეოზი, ვაიმარის კონსტიტუციის წლის თავი, საზეიმო სხდომა რაიხსტაგში, სადაც ერთხელაც არ წარმოუთქვამთ სიტყვა «რესპუ-

ბლიკა» და პრეზიდენტის მთავრობა აშკარათ აცხადებს კონსტიტუციის შეცვლის განზრახვას. ამდენი ულოლიკობა, შეუსაბამობა ერთსა და იმავე დროს! დიან, კითხვები ღიათ რჩება, მათი გადაჭრა გადაიღო.

ისპანიაში კი უცბათ გადასურეს. გენერლების შექმნილობა რესპუბლიკის წინამდევ ელვის სისწრაფით ჩააქრეს. ესეც განსხვავება გერმანულ და რომანულ მეთოდებისა.

ატლანტიკის გაღმა ჰუვერი მმზადებს თავის არჩევას და იწყებს ბრიან-კელოგის პაქტის ქება დიდებას. პაქტის ძალით, ხელისმომწერნი ვალდებული ვართ ვითათბიროთ, რომ ყოველი კონფლიქტი დასაწყისშივე მოვსპოთ, Status quo-ს არც ერთი ძალით შეცვლა არ უნდა დავადასტუროთ... მანჯურიისკენ გადასროლილი ქვეა! ასეთია წონათსწორობა საერთაშორისო მსშტაბით.



ბოლშევიკების ავანტაჟის ღამარცხება ჟენევაში

4 წლის განმავლობაში შორიანლოდან ღრენა-ყეფის შემდეგ, როცა მოსკოვმა უბრძანა თავის ფინიების ეციოთ!—უჯანსკელნი ერთბაშათ წაესიენ 1928 წ. საქართველოს წარმომადგენელს ეენევაში შავიზვილს და კოქებში კბენა დაუწყეს.

წინეთ, 1924 წ. დამლევადის, სანამ მოსკოვი მას თავის აგენტურათ გადაიქცევდა ერთ ვინმე ყოფილ რუს ებრაელ დიგერის წყალობით,—ყენევის სოციალისტური პარტია დიდის თანაგრძობით უყურებდა საქართველოს და მისი გაზეთი «ტრაავი» ხშირად ათავსებდა მის შესახებ ინფორმაციებს და ბეჭდავდა მის სასარგებლოთ სტატიებს. განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყროს ის საქართველოს აჯანყების დროს 1924 წ. სწორეთ მალე ამის შემდეგ მობრუნდა მოსკოვიდან ზემოხსენებული დიგერი შესაფერი ინსტრუქციებით, რომელიც ლოზანაში გორგესკის დაცვის შემდეგ საბჭოთა მთავრობის იურისტკონსულტია. აქედან იწყება თანდათანობით გარდაქმნა ეენევის სოციალისტური პარტიის და ცვალებადობა მისი გაზ. «ტრაავისა».

ჯერ კონტრაბანდულათ ინფორმაციის სახით ატარეს ბოლშევიკური ტყუილები საქართველოს შესახებ და შემდეგ სტატიებშიც გარევა დაიწყეს იმავე ტყუილების. ნათქვამია მტყუანს კარამდი მიყვიო და თუმცა შავიზვილი ამ ცვალებადობის მიხეზს და მიხანს კარგად ამჩნევდა, ეს შემთხვევით მოვლებათ მიიღო მაინც და შეეცადა შესწორებები შეეტანა გამოქვეყნებულ ინფორმაციებში და სტატიებში. პირველ ხანებში «ტრაავი» ერიდებოდა შავიზვილთან კონფლიქტს და ამიტომ რამოდენიმეჯერ მიიღო გასწორებები. მარა დროთა განმავლობაში ბოლშევიკების ბრძანებლობა აბსოლუტური შეიქნა მის რედაქციაში, მისი მთავარი რედაქტორი ნიკოლი გაზდა საბჭოთა ტირანის მქებელი და დამცველი. მისი ბრძოლა სოციალიზმის ბაირალის ქვეშ საქართველოს დამოუკიდებლობის წინამდევ გაუგებრო-

ბას იწვევდა ამ ინტერნაციონალურ ცენტრში. საქირო იყო მისი ნამდვილი ფიზიონომიის საქვეყნოთ გამორკვევა. ეს კი მოითხოვდა სისტემატიურ, ხანგრძლივ და მეტად რთულ ბრძოლაში ჩაბმას, რადგან შავიზვილმა კარგად იცოდა, რომ სოციალისტურ პარტიებში და თვით ინტერნაციონალშიც ბოლშევიკებს ყავთ აგენტები ერთიმეორის დამხმარე. ამიტომ დიდის სიფრთხილით ჯერ შვეიცარიის სოციალისტურ პარტიის ყურადღება მიაქცია გაზ. «ტრაავის» ახირებულ საქციელს საქართველოს მიმართ. პარტიამ დეზავუაცია გაუკეთა «ტრაავის», მარა იგი ისე გაუტიფრდა, რომ თავისი პარტიის დადგენილებაც გადალახა, საქართველოს წინამდევ პირდაპირი კამპანია გასწია და შავიზვილსაც ლანძღვა გინება დაუწყო. შავიზვილმა სასამართლოს მიმართა.

მკითხველისათვის ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ძნელია სხვის ქვეყანაში პროცესი წარმოება გავლენიან დეპუტატების წინამდევ, რომელიც ერთი ძლიერი, ფაქტიურათ გაბოლშევიკებული, სოციალისტური პარტიის ლიდერები არიან და ამნაირათ დიდი გავლენა აქვთ თავის ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულებებში. პროცესი გართულდა კიდევ სოც. პარტიებში და სოც. ინტერნაციონალში გაწეულ ინტრიგებით, რის შედეგიც იყო რამოდენიმეჯერ მათი ჩარევა საქმის სასამართლოდან გამოტანის და მედიატორებისათვის გადაცემის მიზნით. რა მედიატორობა შეიძლება ბოლშევიკების დამქაშებთან, როცა ამათი დევიზია მოგატყუილონ? ცხადია ეს იყო გამოგონილი საქმის ჩასაფუშავათ. დამნაშავეთა დაუსჯელათ გაძრომისათვის. ამ მიხანს ვერ მიაღწიეს, მარა ამ ჩარევებმა ხელი შეუწყო პროცესის გაქიანურებას, 1928 წ. შეტანილ საჩივარზე მხოლოდ ეხლა გამოაქვთ განჩინება. მართალია ეს არის სამარცხინო დამარცხება მტრების და ბრწყინვალე გამარჯვება ჩენი. რასაც მთელი შვეიცარიის პრესა სიამოვნებით აღნიშნავს.

ტრიბუნალი პირველ საჩივარში 1500 ფრ. ჯარიმას უსაჯავს ნიკოლს და გაზ. «ტრაავის» ყოველივე ხარჯების გადახდას და გამოქვეყნებას განაჩენის ოთხს გაზეთში შავიზვილის არჩევით.

მეორე და მესამე საჩივრებზე კი აწესებს სასჯელათ ას-ასი ფრანკის გადახდას თვითეულზე, ყოველივე ხარჯების გასწორებას და გამოცხადებას გაზეთში.

აქედან ცხადია, რომ სასამართლოს დამტკიცებულათ მიანია ნიკოლისა და «ტრაავის» აგენტათ ყოფნა. ამ განჩინებამ აუარება სტატიები გამოიწვია შვეიცარიის პრესაში საქართველოს დასაცავად.

მეორე მხრით შვეიცარიის პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ გრაბერმა, რომელიც შვეიც. სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანია და ერთი საუკეთესო ბელადთავანიც, საქიროთ დაინახა სპეციალური სტატიის გამოქვეყნება თავისი პარტიის ორგანო «სანტინელში» სათაურით: «განჩინების შემდეგ». რაშიც კვლავ ერთხელ კიდევ მსურვალე თანაგრძობას გამოსთქვამს საქართველოს მიმართ, და რაც გადაბეჭდილ იქნა ყველა გაზეთებში.





პოლონელ სტუდენტების ხმა *)

ხ მ ა ს ო ლ ო ვ კ ი დ ა ნ

ვარშავის, ვილნოს, კრაკოვის, ლეოპოლის და პოზნანის პოლონელ სტუდენტების აღმოსავლურ ასოციაციათა დელეგატების კონგრესმა, რომელიც გაიმართა 1932 წ. მაისის 15 და 16, ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

«უნივერსიტეტთა პოლონელი ახალგაზდობა, შეკავშირებული პოლონელ სტუდენტთა აღმოსავლურ ასოციაციებში თავის მეგობრულ და ძმურს თანაგრძობას უცხადებს აზერბეიჯანის, ყირიმის, საქართველოს, კავკასიის მთიელების, იდელ ურალის, ყაზახების, თეთრ რუსეთის, თურქესტანის, უკრაინის ერების ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

პოლონეთის ერმა, რომელიც მსოფლიო ომამდე დამონებული იყო, კვლავ მოიპოვა თავისი დამოუკიდებლობა თავის წინამძღოლის იოსებ პილსუდსკის გენიოსობის და მის ჯარის კაცთა გმირობის წყალობით. თავისუფლებისათვის თანამებრძოლნი არიან ცოცხალი მაგალითები სამშობლოს თავგანწირული სიყვარულის და ბრძოლის მოვალეობისა მის დამოუკიდებლობის დასაცავად.

ამიტომაც პოლონელ ახალგაზდობას კარგად ესმის სხვა ერთა განმათავისუფლებელი მოძრაობა და შეგნებული აქვს ერთობა მის სამშობლოს და სხვა დაჩაგრულ ერთა ბედისა და ითვისწინებს თავდაცვის გეგმას, როგორც რუსეთის იმპერიალიზმის, ისე სხვა აგრესულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომელნიც ემუქრებიან პოლონეთს და რომელთაც ჯერ კიდევ დამონებულნი ყავთ სხვა ერები».

საერთო კრება ავალებს კონგრესის პრეზიდიუმს აუწყოს ეს სიტყვები ყველა განმათავისუფლებელ მოძრაობათა ცენტრებს, ორგანიზაციებს და გამოცემებს როგორც პოლონეთში, ისე უცხოეთში.

მოგაწოდებთ რა ამ დადგენილებას, ძვირფასო მეგობრებო,—გისურვებთ გამარჯვებულ ბრძოლას თქვენი დამოუკიდებლობისათვის და გამოვსთქვამთ ჩვენს მხურვალე სიხარულს განთავისუფლების იდეის განხორციელებისათვის.



*) ეს მომართვა ჩვენმა რედაქციამ და სხვა ქართულმა გამოცემებმა მიიღეს პოლონელ სტუდენტების აღმოსავლ. ასოციაციების პირველ კონგრესის პრეზიდიუმისაგან. რედაქცია გულითადს მადლობას და მხურვალე სალამს მიუძღვნის ერთგულ მეგობრებს.

1922 წ. დაუწყო ბოლშევიკურმა პარტიამ აქტიურად და არალეგალურად მომუშავე პირებს საქართველოდან გადასახლება. სხვათა შორის პირველი 50-მდე კაცი თბილისიდან სახლვარ გარეთ გერმანიაში გადაასახლეს. ნათქვამია: «ზოგი ჭირი მარგებელია»-ო, ამ ხალხმა თავი დაახწია ბოლშევიკური ჩეკის ინკვიზიციებს და გაემგზავრენ ევროპის განვითარებულ და კულტურულ სახელმწიფოში, სადაც ცოდნის შექმნაც შეიძლება.

შემდეგ შეწყდა სახლვარ გარედ გადასახლება, სამაგიეროდ დაუწყეს ღირსეულ შეილებს გზავნა რუსეთის სხვადასხვა მხარეებში: ციმბირში, ურალში, ტურუხანში, ვიშერში, არხანგელსკში და სალოვკის კუნძულზე. ყოველ თვე თბილისის პოლიტ იზ. «მეტეზიდან» იგზავნება სისტემატურად ორი ეშელონი არა ნაკლები 250 კაცის, რომელიც მიდის მოსკოვის განმანაწილებელი პუნქტის განკარგულებაში. «ბუტირკაში». გადასახლებულების სამშობლოში დაბრუნება, ვადის შესრულების შემდეგ, ძალიან იშვიათი მოვლენაა, დამთავრებისას უმატებენ მეორე ვადას, იმ ადგილიდან გზავნიან შორს სხვაგან. აი მაგ. ისიდორე რამიშვილმა, რომელიც იყო გადასახლებული სამი წლით, უკვე 11 წელიწადი შეასრულა და ვინ იცის კიდევ რამდენი მოელის.

გადასახლებულები დიდ სულიერ სიმტკიცეს იჩენენ, ისინიც კი, რომელნიც იმყოფებიან ტურუხანის მივარდნილ კუთხეებში, ტუნგუშთა შორის, განიძახიან: «რაც მეტ გაჭირვებას და ტანჯვას განვიცდილით, მით უფრო მტკიცდება და მხნედება ჩვენი მისწრაფება, სულიერად დაცემა შეუძლებელია უკანასკნელ კუბოს ფიცრამდე». ეკონომიური მხრით ურდოების კომისრები არავითარ დახმარებას არ უწყვენ გადასახლებულებს, პირიქით, არ აძლევენ საშვალებას მოეწყონ სადმე სამსახურში, იშვონ ლუკმა პური, თუ მიმართავთ, პასუხი შემდეგია მრისხანე და მოკლე: «ვლდებული ხარ ყოველ შაბათს გამოცხადდე, აქ ქალაქის გარეთ ფარგლებში მოგზაურობა შეუძლებელია და თუ დაარღვევთ ამ წესრიგს, იქნებით იზოლიატორში ანუ «ლაგერში» გაგზავნილი.» საქართველოდან კი ოჯახს არავითარი დახმარების გაწევა არ შეუძლია გადასახლებულისათვის. ბევრმა გადასახლებულმა ხელი მოკიდა სხვადასხვა წერილ ვაჭრობას, ზოგი შავ მუშაობას ეწევა, ტვირთს ზიდავს, თუ სხ.

ბედნიერებაა, ვინც რომ იმყოფება თავისუფალ გადასახლებაში და შეუძლია თავისი შრომით ირჩინოს თავი. მაგრამ ძალზე შევიწროებულნი და გაჭირვებულნი არიან, რომელნიც იმყოფებიან «ლაგერებში»: არხანგელსკში, ვიშერში და სალოვკის კუნძულზე, რომელიც ცნობილია არამც თუ რუსეთის ტერიტორიაზე, არამედ მთელ ევროპაში და რომელიც წარმოადგენს ჩამყლაპელ ორმოს ბედისგან. განწირული ტუსაღებისთვის. ამ კუნძულის ნესტიანი ჰაერი მოწამლულია და სისხლითაა გაკლენთილი. 1922 წ. მოსკოვის ტირანის კოლეგიის წევრმა გლე-

ბოესკიმ დაარსა კუნძულზე «ლაგერი» და პირველ წელში იყო გაგზავნილი რამდენიმე ასეული ანარქისტი. შემდეგ კი სისტემატიურად აგზავნიან პოლიტიკურ და ეკონომიურ მტრებს, თეთრი გვარდიელების და თავად აზნაურობის ოჯახებს. კოლექტივის შემოღების შემდეგ ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა მშრომელ გლეხების გადასახლება «ლაგერებში». გლეხების ოჯახები ეშვლონებით იგზავნებიან «ლაგერებში». გამოყავთ თუ არა რონოდებიდან, ცოლქმარს, დედას და შვილს ერთი მეორეს აშორებენ, ანაწილებენ სხვადასხვა მივლინებებზე, დედა შვილს ეძებს, ცოლი ქმარს და შვილი დედამას. აი დღეს გლეხობის ცალშვილთაგან შემდგარ «ლაგერს» შეადგენს ადგილი ვოლოკიდიდან დაწყებული მურმანსკამდე.

როგორც ვსთქვით, სოლოვკის კუნძულზე საშინელი ჰავაა, მაგრამ კიდევ უარესია მართველობის რეჟიმი. იყო შემთხვევა 1929 წელს იანვარში «ლაგერის» უფროსს ეიხმანს მოახსენეს, რომ პირანდოვოში მივლინებაში მყოფი 450 კაცი იქმნა გაყინული. უფროსმა ასეთი პასუხი მისცა მომხსენებელს: «ახლები მოვლენ და იმუშავენ». აუწყრელ შემთხვევებს ქონდა ადგილი ტუსაღთა შორის: მოთმინებიდან გამოსულნი თავისი ხელით იჭრიდნენ ხელსა და ფეხს და ჭრილობისაგან მიქეფარდნენ სისხლით ხელსა და ფეხს უჩვენებდნენ და შემდეგ სიტყვებს დასძენდნენ: «აი ჩვენი გაკვეთილი შევასრულეთ». ასეთი ჯოჯოხეთის და სასოწარკვეთილების ადგილისკენ იქნა გაგზავნილი 1925 წ. 35 პოლიტიკური ქართველი, სხვადასხვა პარტიისა. ესტუმრენ თუ არა ეს ქართველი გმირები სოლოვკის კუნძულს, იმათი მიღებაც იყო როგორც, ჩვეულებრივი: მასპინძლები ხვდებოდნენ სტუმრებს ჯოჯოხეთით და ჩექმის ქუსლებით, იყო შემთხვევაც, რომ ეტაპის მიღების დროს, ზოგი სიცოცხლეს გამოსალმებთა ცემისა და სიცივისაგან. მაგრამ ჩვენი ახალგაზღვრბა არ შეუშინდა ტირანის ასეთ მოქცევას. ისინი იმავე დღეს დაფანტეს სხვადასხვა სამუშაოზე. დაბრუნებისას ყველა დაქანცულებმა და მოთმინებიდან გამოსულებმა გადასწყვიტეს ან გამარჯვება ან სიკვდილი პოლიტიკური უფლებებისათვის და შემდეგი მოთხოვნილება წარადგინეს:

1. განთავისუფლება საერთო მუშაობისაგან.
2. განთავისუფლება აღრიცხვისაგან, რომელიც სწარმოებდა დილა-სალამოს ორი საათის განმავლობაში.
3. განთავისუფლება დამკვრელებისაგან.
4. მუშაობა სურვილისამებრ სპეციალობის მიხედვით და არა იძულებითი.

ამის წარდგენასთან ერთად შიმშილობა დაიწყო. უფროსმა რომ მოთხოვნილება მიიღო ბრძანა, რომ დაექსაქსათ სხვადასხვა მივლინებებზე ყველანი და მიეღოთ ზომები შიმშილის ჩაშლისათვის. დღის მსაათზე პოლიტიკურებს გამოუტყვადეს, რომ არიან გადაგზავნილი მივლინებებზე: ანუერში, სავატიევში, მუქსულმაში და სასნოვში, რამდენიმე ნაწილი კი დარჩა კრემლში (ეს ცენტრალური ნაწილია სალოვკის «ლაგერის»). ხედავდნენ ძმები, რომ აშორებდნენ

ერთი მეორეს და დაიფიცეს, როგორც ერთს ისე ერთმალთ მტრის წინააღმდეგ და არ მოეხსნათ შიმშილობა, სანამ არ მიიღებდნენ განკარგულებას ვიკტორ კარაკოხაშვილისაგან, რომელიც უშვალოდ აწარმოებდა მოლაპარაკებას «ლაგერის» უფროსთან. ვადიოდენ დღენი. საუბედუროდ სალოვკა არის ისეთი ადგილი, რომ 7 თვე ღამე და 5 თვე დღე. ასე რომ ჩვენ გმირებს მოუხდათ ბრძოლა იმ დროს, როდესაც ვადიოდენ ღამეები და მინც სუფევდა სიბნელე და ეს ცუდათ მოქმედებდა სულიერ მდგომარეობაზე. მიუხედავად სიცივისა, რომელიც აღმატებოდა 30 გრადუსს და სიბნელისა, ტუსაღები გახდილნი იმყოფებოდნენ საქნებში და დღითიდღე განიცდიდნენ სასოწარკვეთილებას. გაიარა ოცდაშვიდე დღემ და კარაკოხაშვილი ღებულობს ამხანაგებისაგან არასასიამოვნო წერილს. შიმშილობის მოხსნისათვის. დიდი რჩევისა და ბაასის შემდეგ ასეთი წინადადება იქნა მიღებული: რომ არ დაკარგულიყო გაწეული შრომა, მხოლოდ ერთს უნდა ეკისრა შიმშილის გაგრძელება და სხვები განთავისუფლებულიყვნენ, რადგანაც დამარცხება მოელოდათ. შიმშილის გაგრძელება კარაკოხაშვილმა იკისრა და წერილობითი განცხადება შეუტანა მთავრობას: «მე ჩემს ამხანაგებს განთავისუფლებ შიმშილისაგან და პირადათ კი ვაგრძელებ. სანამდის შეძლებს ჩემი სხეული და ქართველი სულია». ჩვენი გმირი ვიკტორი გამომწყვდეული იყო ერთ პატარა ორმეტრკვადრატულ ოთახში, არავითარ ცნობებს არ იღებდა, კავშირი არავისთან ქონდა, მხოლოდ ხედავდა სარკმლიდან მცველს, რომელიც თოფით ხელში იდგა მისი კარების წინ. შესვლის ნებართვა ვიკტორთან არავის ქონდა, გარდა «ლაგერის» უფროსისა და ექიმისა. ექიმი ყოველ დილა-სალამოს სინჯავდა და აწვდიდა მთავრობას ცნობებს ორგანიზმის სისუსტის შესახებ, რამდენჯერმე ინახულა ვიკტორი «ლაგერის» უფროსმა და თხოვა მოეხსნა შიმშილი, პასუხად ღებულობდა, ან გამარჯვება ან სიკვდილი. გაიარა ორმა თვემ და ხუთმა დღემ, კარაკოხაშვილი ღებულობს წერილობით საბუთს გამარჯვებისა...

შიმშილის მოხსნის შემდეგ გადაიყვანეს ცენტრალურ საბვადმყოფოში, მაგრამ ამდენი ხნის დასუსტებულმა სხეულმა ვერ გადიოდა დიდი ხნის ტანჯვა და 1925 წელს, 1 მაისს დაიღია სული, ახალგაზდა მებრძოლმა გმირმა, მამულის მოყვარულმა სპეტაკმა ადამიანმა, ვიკტორ კარაკოხაშვილმა. მის სახელს სასოებით იხსენიებს ყველა, როგორ ქართველი, ისე რუსი, ებრაელი, თათარი და სომეხი, რომელნიც სარგებლობენ მის მიერ მოპოებულ პოლიტიკურ უფლებებს...

გადასახლებულების რიცხვი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება ვეებერთელა რუსეთის ცივ მიყრუებულ ადგილებში და ვინ იცის, თუ რამდენი ღირსეულა შვილის საფლავი გაითხრება სამშობლოს გარეშე...

გაქვივრების და მოთმინების ფიალა იცება და შორს არ არის ის დრო, რომ ტირანია დაეცემა და მის ნანგრევებზე მკვდრეთით აღსდგება მრავალტანჯული საქართველო...

31 ივლისი

(წერილი გერმანიიდან)

გერმანელმა ხალხმა ამ საბედისწერო დღეს თავისი განაჩენი გამოიტანა: 36.686.781 ამრჩეველმა გაგზავნა ახალ რაინსტაგში 607 დეპუტატი:—ნაციონ.-სოც.—230 (13.741.812), სოც.-დემ.—133 (7.951.441), კომუნისტები—89 (5.263.719), ცენტრი—75 (4.487.602), გერმ. ეროვნ. პ.—37 (2.175.348), ბავარ. კათ. პ. (ცენტრის მოკავშირე)—22 (1.179.721), გერმ. სახ. პარტია (მტრუნემანი)—7, დემოკ. პ. (სახელმწ. პ.)—4, ქრისტ.-სოც.—4, გლეხთა პ.—2, გლეხთა კავშირი—2, სამეურ. პ.—1, გერმ. სოფლ. კავშირი—1.

როგორც მოსალოდნელი იყო—და პრუსიის არჩევნებმა ეს ჩვენ გვაჩვენა—საშუალო პარტიების თითქმის სრული გათქეფით ჩამოყალიბდა ხუთი დიდი გაერთიანება:—მარცხნივ—სოც.-დემოკრ. და კომუნისტები, ცენტრი—კათოლიკური პარტიები, მარჯვნივ—ნაციონ.-სოც. და გერმ. ეროვნული პარტია. მემარცხენე პარტიების და ცენტრის გერმანელმა ხალხმა მისცა 19.587.000 ხმა, ხოლო მემარჯვენეთ 17.087.000. შეიქნა იგივე მდგომარეობა, რაც პრუსიაში: ხალხმა უარჰყო ჰიტლერისი და მონარქისი, მაგრამ არ მისცა უმრავლესობა არც რესპუბლიკანურ პარტიებს. ამ უმრავლესობის შედგენისათვის მათ სჭირია კომუნისტები, ხოლო მემარჯვენეთ ცენტრი. ამიტომ პარლამენტარულ მთავრობის შედგენა ძლიერ ძნელი იქნება, თითქმის შეუძლებელი, რადგან ვიცით თუ როგორია კომუნისტების მოლაპარაკებები ტაქტიკა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა პრუსიაში მომხდარ ამბებს (ლანდტაგის თავმჯდომარეთ ნაც.-სოციალ. კერლის არჩევა, ანისტიის გამოცხადება და სხვ.) და რადგან ცენტრსა და ჰიტლერელების შორის დამოკიდებულება ამ ეამდ ძალიან გამწვავებულია, ამიტომ ფონ-პაპენ-შლაიხერის მთავრობის პოზიცია, რომელიც ჯარს ეყრდნობა და რომელმაც ამ ჯარის საშუალებით პრუსიის ბრაუნ-სევერინგ-პირტივიერის მთავრობა გადააყენა, სააღყო წესებით პრუსიის პოლიცია ხელში ჩაიგდო და რესპუბლიკის ერთგულნი მსახურნი მოიშორა, ამ ეამდ უფრო გამაგრებულად უნდა ჩაითვალოს. ფონ-პაპენს და შლაიხერს იმედი აქვთ ეტყობა ჰიტლერის პარტიის, რომელმაც მიუხედავად ყოველგვარ ცდისა უმრავლესობა ვერ მიიღო (მხოლოდ 300.000 ხმა მემარჯვენეთა შეიმატა), ეგრედ წოდებული «მარქსისტული ფორტი ვერ გაარღვია,—პირიქით გააძლიერა—ერთის მხრით და ცენტრის მეორე მხრით. მათ ჰგონიათ, რომ ეს ორი პარტია იძულებული შეიქნება ან მთავრობაში შესვლით, ან კიდევ ტოლერანციით (მხარის დაქვრით მთავრობის გარეშე) განიზარონ პასუხისმგებლობა მართვა-გამგეობაში. თუ ეს არ მოხდა—და ჯერ ჯერობით არავითარი მტკიცე ნიდაგის შესახებ ამ მხრივ ლაპარაკი არ შეიძლება.—მაშინ რჩება ამ მთავრობის მიერ უკვე «ნაციდი» გზა დეკრეტების და დიქტატორულ მეთოდების და, რაც ყველაზე უფრო საშიშარია, გერმანიის დემოკრატიულ კონსტიტუციის წყველის, რაც საშუალებას მისცემს მას ურაინსტაგით იბატონოს. და მაშინ რას იტყვის ამ

კონსტიტუციიზე დაფიცებული, მისი დამცველი, პრეზიდენტი ფელდმარშალი ჰინდენბურგი?... წაყვება ამ გზას, რომელიც არის გზა სამოქალაქო ომისა, თუ არჩევს მართოს ვაიმარის კონსტიტუციის 48 მუხლის ძალით, რომელიც განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებს პრეზიდენტს?... ძნელია აქ წინასწარმეტყველება.—მაგრამ, რომ გერმანიის ახლო მომავალს კარგი პირი არ უჩანს, ეს აშკარაა. ფაქტიურად, განსაკუთრებით პროვინციაში, სამოქალაქო ომი ეს ორი თვეა უკვე მძვინვარებს...

31 ივლისის არჩევნებმა ერთი თვალნათლივ დანახვა ქვეყანას: რომ გერმანელი ხალხი თავისი დიდი უმრავლესობით წინამდევია, როგორც რესტავრაციის (მონარქიის აღდგენის), რომლის მომხრეა გერმანული ეროვნული პარტია, ისე ფაშისტურ დიქტატურის (ჰიტლერი). ძალიან დიდი იმედი ჰქონდა ამ უკანასკნელს, რომ ამრჩეველების დიდი უმრავლესობა მას ძალაუფლების ხელში ჩაგდებას შესაძლებლობას მისცემდა. მაგრამ იმედი გაუცრუვდა. მან მოწინააღმდეგე გააძლიერა მხოლოდ. მართალია ნაც.-სოც. პარტიამ 1930 წლის რაინსტაგის არჩევნებთან შედარებით თავის მანდატების რიცხვი არა თუ გააორა—230-მდეც კი აიყვანა, მაგრამ შედარებით პრუსიის უკანასკნელ არჩევნებთან მან შესძლო მხოლოდ 300.000 ხმის მომატება, ისიც მხოლოდ მემარჯვენე პარტიათა ხარჯზე. ნაც.-სოციალისტებს გამოეღია რეზერვი და მისი ზრდა შეჩერდა. აწი დაიწყება დაქანება: ბევრგან მან უკვე დაკარგა შესამჩნევად მიმდევრები.

ყველაზე უფრო მოულოდნელი ამ არჩევნებში, განსაკუთრებით პრუსიის არჩევნების შემდეგ, კომუნისტ-ამრჩეველების კვლავ გაზრდა იყო: კომუნ. პარტიამ 1930 წლის რაინსტაგის არჩევნებთან შედარებით მოიმატა თითქმის 800.000 ხმა, ე. ი. დაიბრუნა წარსულ არჩევნებში (პრუსია, ბავარია, ბადენი და სხვ.) დაკარგული ხმები და რამოდენიმე, 100.000 კიდევ ზედ დაუმატა. აქ შემდეგ მოვლენებმა ითამაშეს განსაკუთრებული როლი: 1) ფონ-პაპენ-შლაიხერის მთავრობის უმთავრესი ზურგის გამამკრებელი ჰიტლერის ნაც.-სოც. «მუშათა პარტია» აღმოჩნდა, რომელიც ხალხს სამოთხეს პირდებოდა («მესამე სამეფოში» და ნამდვილად კი რეაქციონურ მთავრობის პოლიტიკურსა და სოციალურ ზომებს სწორედ მუშათა კლასის წინამდევ მხარს უჭერდა. 2) გასურა კომუნისტურ პარტიის დემაგოგიამ სოციალდემოკრატიის და მისი წარმომადგენლის პრუსიის მთავრობაში კარლ სევერინგის წინამდევ, რომელთაც ასე ადვილად გადასცეს (დემოკრატების აზრით) ხალხის მტრებს პოლიცია და მეოლი ძალაუფლება. მერყევი, პოლიტიკურად შეუგნებელი ელემენტები, როგორც გადაბარგდენ თავის დროზე ჰიტლერთან, ისე ესლა გადმობარგდენ ტელმანთან და საუბედუროთ თან წაიყვანეს ყოფილი სოც.-დემოკრატიების ამრჩეველები. სოც.-დემოკ. პარტიამ შედარებით 1930 წლის არჩევნებთან დაჰკარგა, მაგრამ შედარებით ახლო წარსულ არჩევნებთან მოიმატა, ზოგან შესამჩნევად. მაგალითად მეკლენბურგ-შვერინში, სადაც ლანდტაგის აბსოლუტურ უმრავლესობას ნაციონტე-

ბი შეადგენენ და მთავრობაც მათ ხელშია, სოციალ-
დემ. საზოგადოდ «რკინის ფრონტის» მუშაობამ და-
უკარგა მათ ეს უმრავლესობა. განსაკუთრებულ აღ-
ფრთვანებით და გატაცებით ჩატარა ეს დიდმნი-
შვნელოვანი არჩევნები «რკინის ფრონტმა» და მისმა
ხელმძღვანელმა გერმანიის სოც. დემოკრ. პარტიამ.
მიუხედავად იმისა, რომ უმთავრესი იერიშები მაზე
იყო მიტანილი, ბებელის, ლასალის, ლიბკნეხტის და
კაუტსკი ბერნშტაინის პარტიამ შესძლო თავის გარ-
შემო 8.000.000 შემოკრება და ეს 8.000.000 არა ვაგს
პიტლერის 13.000.000, და ტელმანის 5.000.000.

შესამჩნევად მოიმატა აგრეთვე ცენტრმა, რომე-
ლიც სოც.-დემ. ერთად რესპუბლიკისათვის იბრძო-
და ამ არჩევნებში. ბავარიის კათოლიკურ პარტიას-
თან ერთად მან 97 დეპუტატი გაიყვანა ახალ რაიხს
ტაგში მისი ბრძოლის ხელმძღვანელები იყვნენ: ბრი-
უნინგი და ვირტი.

ამ ორ უკანასკნელ პარტიას უყურებს იმედიო
მთელი რესპუბლიკანური გერმანია, მთელი შეგნე-
ბული კაცობრიობა.

მ.—ანი.

ბერლინი.

ავვისტო, 1932 წ.

ისტორიული ამბები

დავით აღმაშენებელი და ხელჯა იბრაჰიმი.

დავით აღმაშენებელი ერთი უდიდესი ისტორიულ
პიროვნებათაგანია და მისი თანამედროვე ბიოგრაფი
სამართლიანად შეამკობს უხვი ფაქტებითა და მდიდარ
სახის-მეტყველებით. ადარებს ჩვენს მეფეს სხვა
ქვეყნის გმირებს—ისტორიიდან თუ მწერლობიდან—
და სწუხს, რომ თავის მცირედიოთა და კნინითა სიტყ-
ვით არ შეუძლია გამოაჩინოს მთელი სავსება დავი-
თის საქმეთა. «ჩვენი ესე გვირგვინოსანი და ახალი
ალექსანდრე თუმცა იყო ყამითა შემდგომად, არამედ
არა საქმითაცა, არცა განზრახვითა, არცა სიმხნითა
უმცირედო». და თუ დავითმა ისე ვერ გაითქვა სახე-
ლი, როგორც ალექსანდრემ, იმიტომ რომ პატარა
საქართველო ეპყრა ხელთ, «და თუ დავითს სპარსთა
მეფობა ჰქონებოდა, ანუ ბერძენთა და პრომთა ძალი,
ანუ სხვათა დიდთა სამეფოთა, მაშინმცა გენახნეს ნა-
ქმნარნი მისნი».

დავით აღმაშენებელი მოველინა საქართველოს *)
როგორც გენიალური მხედარი და სახელმწიფო კაცი
და არამც თუ სრულიად გაწმინდა სამეფო მტრები-
საგან, არამედ ისეთი ზარი დასცა მათ, რომ საზღვრე-
ბის მოახლოვებასაც კი ვერ ბედავდენ. მთავარი მტე-
რი, სელჩუკთა სულთანი, «ძრწოდა შიშისაგან მისი-
სა; რაოდენსა შორს იყო. ეგრეცა ეოცნებობდა მიძი-
ნარესა შიში და მღვიძარესა სიკვდილი». დავითი
რომ ტახტზე ავიდა, მოხრებულ იყო ქვეყანა და
«თვინიერ ციხეთა სადამე არასადა იყო სოფელსა
შინა კაცი, არცა რა შენებულება». ხოლო თავის მო-

ქმედებით მიაღწია იმას, «რომ განავსო და აღაშენა
ყოველი ოხერქმნილი და გარდაამეტა ყოველთა უამ-
თა მშვიდობითა და სიმდიდრითა სამეფო ჩვენი ნი-
ცვლად გარდასრულთა ოხრებათა» და «მხეებრ ნი-
ჰვინა წყალობა ყოველთა ზედა მკვიდრთა ქვეყნისა-
სა». დავითის ცხოვრების აღმწერელი ასეთი ძალად
ენით დაგვიხატავს მის სიძლიერეს: «სულთანი დასვა
მოხარკედ თვისად, ხოლო მეფე ბერძენთა ვითარცა
სახლეული თვისი, დასცნა წარმართნი. მოსრნა ბარ-
ბაროსნი, მეოტად წარაქცინა არაბნი, იავარად ის-
მაიტელნი, მტვერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად
მთავარი მათნი».

დავითი არ იყო მარტო მეომარი, ანუ როგორც
თვითონ იტყვოდა, მარტო «მხედრობათა შინა აღზრ-
დილი». ჰქონდა დიდი შინაური აღმშენებლობითი
ნიჭიც; ყველგან წესიერება და სამართალი დაამყარა,
ურჩნი მოდრიკა და დაუმორჩილა სახელმწიფოს სა-
რგებლობას. «ყოველთა კაცთა იყო წესიერება, ყო-
ველთა კანონ, ყოველთა პატიოსნება და თვით მათ
ყოველთა მეძავთა კრძალულებდა». არც თუ ქონებრივ
წარმატებას სტოვებდა უყურადღებოთ და მრავალნი
ხინდი აღაშენა «სასტიკთა მდინარეთა და გზანი სა-
წყნოდ სავალნი ქვაფენილ ყვნა».

მაგარიმ დავითის სიდიადეს ისე მისი «ხორციე-
ლნი საქმენი» კი არ აცხადებენ, როგორც მისი სუ-
ლიერი, გონებრივ-ზნეობრივი ბუნება. ადამიანი,
რომელიც თითქმის მთელს სიცოცხლეს, დღესა და
ღამეს, სულ ომებში ატარებდა,—გასაოცრად გატა-
ცებული იყო წიგნის სიყვარულით. ვითარცა პტო-
ლემეოს, ეგვიპტის მეფე (ვკითხულობთ მის ცხოვ-
რების აღწერაში), და წიგნების კითხვა ისე გაიტაცე-
რდა ხოლმე, რომ ხანდახან მტრის შემოტევაც კი
მოუწერებოდა. საღრმითო წერილნი, ძველნი და ახალ-
ნი და წიგნნი სიბრძნისანი და «გარდასრულთა საქმე-
თა» ისე შეთვისებული ჰქონდა, რომ «მათ შინა ცხო-
ველ იყო და მათ შინა იძვროდა». «იგინი იყვნენ მისი
საზრდელ ყოველთა გემოვან და სასმელ ტკბილ და
საწადელ». ჯორ-აქლემებით დაჰქონდა წიგნები ომში,
ნადირობაში, მოგზაურობის დროს და თვითონ რომ
დაიღლებოდა, სხვას აკითხვინებდა, და იძიებდა და
იკვლევდა ძნელად გასაგებს...

აღაშენა გელათში «ყოვლისა აღმოსავლისა მეო-
რე იერუსალიმი, სასწაულოდ ყოვლისა კეთილისა,
მოძღვრად სწავლულებისად, ახლად ათინად» და მუნ
შემოკრება კაცნი პატიოსანნი და შემკულნი ყოვლი-
თა სათნოებითა, არა მარტო საქართველოში პოვნი-
ლნი, არამედ ყოველი ქვეყნიდან.

გახსნა ქსენონი, საუცხოვოდ არჩეულ ადგილას,
მოათავსა ავადმყოფნი, დაუნიშნა მომვლელნი და
გაუჩინა თვითოეულს შემოსავალი, ხოლო მოვიდო-
და თვითონ ხშირად სნეულთა სანახავად, მოიკითხა-
ვდა, ფუფუნებდა, გაამხნევებდა, საკუთარი ხელით
გასინჯავდა მათ საწოლებს და სამოსლებს და ყოვე-
ლთვის დაასაჩუქრებდა უხვად. «მრავალგზის გვიხი-
ლავს იგი, ამბობს თანამედროვე: დამლტობელად
ლაწვთა თვისთა», როცა ნახავდა მეტად მიიმე დაავა-
დებულებს.

ყველაზე გასაკვირი კი ისაა, რომ ეს მეფე, რო-

*) მეფობდა 1083—1125 წლ.

მელიც წმინდანად არის ჩარიცხული მართლმადიდებელ ეკლესიის მიერ, მოკლებული იყო სრულიად სარწმუნოებრივ მიუკარებლობას და შეურიგებლობას. მან განამდიდრა ქართული ეკლესიები და მონასტრები საქართველოშიც და გარედ—საბერძნეთსა, ბულარეთსა, პალესტინასა და სირიაში, და ამავე დროს ხელგაშლით ეხმარებოდა მუსულმანთ, მოაწყო მათვის თავშესაფარები და სხვა სახლები, დადიოდა მათ სამლოცველოებში და ყურადღებით ისმენდა მათ ქადაგებას. ასევე პატივით ეპყრობოდა სომხის სამღვდლოებს და ხშირად მიიღებდა მათგან კურთხევას და ეს იმ დროს, როდესაც ქართველ სამღვდლოთა უმრავლესობა სიძულვილით იყო გამსჭვალული სომხის ეკლესიის მიმართ.

მაჰმადიან სასულიერო და სწავლულთა შორის დავით მეფეს ბევრი ყავდა დაახლოებული. ხოლო გამოირჩეოდა მოხუცი ხოჯა იბრაჰიმი, კაცი მეცნიერი ყოველი სიბრძნის, არა მარტო სარწმუნოების. ქართული მშვენიერად იცოდა და დავითსავით წიგნის დიდი მოყვარული იყო—სახლი სავსე ჰქონდა წიგნებით არაბულ, ბერძნულ, ებრაულ და სირიულ ენებზე, ყოველი დარბიდან: იქ შეხვდებოდი რელიგიურს, ისტორიულს, გეოგრაფიულს, ფილოსოფიურს, სააქიმო, მათემატიკურს და სხვა ნაწერებს.

დავით აღმაშენებელი ხშირად ნახულობდა ხოჯა იბრაჰიმს—ან მოიწვევდა ან თვითონ მივიდოდა მასთან და გულმოდგინედ მოუხმენდა მსჯელობას. მეფისგან მუდმივი ულუფა ჰქონდა დანიშნული და დავითი ისედაც დასაჩუქრებდა ხოლმე.

ხოჯა დიდხანა მექაში წასვლას ნატრულობდა, ეს რომ მეფემ გაიგო, ფული მისცა საგზაო. ორ წელზე მეტს დარჩა იბრაჰიმი არაბეთში და როდესაც დაბრუნდა, მეორე დღესვე თავის მფარველს ეახლა.

მეფე დავითი სიხარულით მიეგება და მშვიდობით დაბრუნება მიულოცა. ხოჯა დიდს მადლობას ეტყუდა მზრუნველობისა და სიკეთისათვის, ფრიად დაუმადლა, რომ მრავალი მუსულმანი ტყვე გაენტავისუფლებია და მრავალიც გამოეყვინა თავის საქურტულით, სხვათაგან გატაცებული. პატივისცემის ნიშნად მეფეს ყურანი მოართვა, ომარ ხალიფას დროს გადაწერილი, მექიდან მოტანილი. დავითმა წიგნი მოწიწებით ჩამოართვა, ემთხვია, გულზე მიიდვა და ფრთხილად, ვით განძი დაუფასებელი, საპატიო ალაგას დადვა.

დასხდნენ. ამბები მოიკითხეს იქაური და აქაური. მეფემ გამოკითხა, როგორ იმოგზაურა, როგორ ცხოვრობდა მექაში, რა ნახა გზაში, რა ხდებოდა არაბეთში, ეგვიპტეში, პალესტინაში, სირიაში. იბრაჰიმმა დაწვრილებით უამბო ყოველივე. აუწერა ფრანგების შესვლა ანტიოქიასა და იერუსალიმში, ხალიფის დაუძლურება, მუსულმანთა ერთმანეთისაგან განთიესება და განდგომა და დაუსრულებელი ომები.

დავითი სდუმდა და მერმე, თითქოს თავის თავს ეუბნებოდაო: წარმოსთქვა:

— ყველგან ბრძოლა და სისხლის ღვრავა, აქ და იქ—მაჰმადიანი ქრისტიანს ებრძვის, ქრისტიანი ქრისტიანი და მაჰმადიანები კიდევ ერთმანეთს. რისთვის? — ჭეშმარიტად, მეფეო, რისთვის?

— განა ეს დედამიწა მცირეა და ვერ ვეტყვით? — ვერავის განუზომავს და ვერ განუხილავს, სივრცე მისი უსაზღვროა.

— ღმერთმა აავსო ეს ქვეყანა ყოველი სიმიდდრით, მორთო ფერად ფერებით, აამწვანია და ააყვავილა, შეამკო ველებით და მთებით და მდინარეებით, უცხო და უცხო სანახავეებით და ცანი მოჰყუდა ვარსკვლავებით—ჩვენთვის, კაცთათვის. სირნი გალობენ, რომ ყურნი ჩვენი დაატკბონ და მდელი ბიბინებს, რომ თვალსა ჩვენსა აამოს.

— უხვია ღმერთი, ხოლო ადამიანი ბრმაა და არარას ხედავს.

— ღმერთმა ხომ ქვეყანა ყველასთვის გააჩინა, დიდისა და მცირისთვის, და ჩვენ ხომ ყველანი ერთის ღმერთის შვილები ვართ... მას ყველა უყვარს, ვინაიდათგან იგი სიყვარულია და სიყვარულსავე გვასწავლის და რაისათვის დამკვიდრებულა ჩვენს გულში სიძულვილი? არა, ამაოდ ვიტყვით: «მეუფეო, მეუფეო»,—ჩვენ ღმერთი არა გვწამს.

— გონიერია სიტყვა შენი, სვე-ბედნიერო მეფე, უმეცარნი ვართ და არა გვწამს. ღმერთი ყოვლად გამოცხადებულია და იგი მარად და ყველგან იყო და არის ხილული მხილველისათვის, სმენილი მსმენელისათვის, შეცნობილი შემცნობელისთვის. ხოლო არა ყოველმა მიწიერმა იხილა და შეიგნო მამა ცისა და ქვეყანისა, და მან წყალობა-აუთრაცხელმან და სიკეთემ განუხაზღვრელმან არა უგულებელ ყვნა დაბადებულნი თვისნი და მოგვივლინა მოციქულნი და კაცნი საღვთონი, რათა გვასწავლონ ჩვენ უფურთო სიბრძნე ღვთისა—სიყვარული ერთმანეთის.

— ამას ქადაგებდა მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე.

— ამასვე გვასწავებდა ჩვენც დიდი მოციქული მაჰმადი. ამასა განავრცელებდენ მოძღვარნი ურიათანი. იყო ინდოეთს კაცი ვინმე ბუდად სახელდებული, რომელმაც დასტოვა მეფობა, რათა სიყვარული მიეტანა განუკითხავთა და დევნილთათვის. აზმანი ძველნი სწერენ, რომ ხატათსაც იყო ესეთი ბრძენი, და სხვაგანაც, სხვაგანაც—ღვთისაგან წარმოგზავნილნი, საწრთვნელად კაცთა.

— და როდის და ვიქნებით გაწრთვნილნი?

იკითხა მეფემ ნაღვლიანად და დადუმდა. არა სთქვა რა იბრაჰიმმაც. ღრმა საგონებელს მიეცნენ ორივენი—სტკივოდათ გული, რომ კაცთა ნათესავი ასე დაშლილი იყო შურითა და მტრობით. მაგრამ ხედავდა მეცნიერი ხოჯა, რომ ვით აბობოქრებული ზღვის ტალღები ეხეთქებოდენ ერთმანეთს მოდგმანი, ენანი და სჯულნი, და არავინ იყო ხორციელი ამის შემჩერებელი. ხედავდა ამას ბრძენი მეფეც, რომელიც მარად ხმალამოლებული იგერიებდა შემოსულ მტერს და იბრძოდა ქართველთა თავისუფლებისათვის.

და ორთავე ილოცეს თავის გულში იღუმლად: «დამბადებელი ჩვენო, მომადლე მშვიდობა ქვეყანასა შენსა მღვლვარესა».

ს. ფიშვხალავა.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ ბ ე ბ ი

(ქუნალ-გახეობიდან)

იგლისის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში ხანგრძლივი და დიდი წვიმების გამო მდინარეები ძალზე ადიდდნ და დიდი ზარალი მიაყენეს მცხოვრებლებს.

— საქართველოს განსახკომი აგვისტოს დასაწყისში განაგრძობს 1931 წელს შეწყვეტილ არქეოლოგიურ გათხრებს ნოქალაქევაში. გათხრებში მონაწილეობას მიიღებენ პროფესორი ჩუბინიშვილი და გოხალიშვილი.

გარდა ამისა, ამა წლის სექტემბრიდან დაიწყება არქეოლოგიური გათხრები მცხეთის რაიონში. გათხრებში, გარდა საქართველოს სამეცნიერო ძალებისა, მონაწილეობას მიიღებენ გერმანელი არქეოლოგებიც.

— გურიაში (ოზურგეთის რაიონი) უმთავრესად სოფელ ასკანის მიდამოებში აღმოჩენილია მეტად ძვირფას, ტექნიკურ ცეცხლ გამძლე თიხის—ასკანიტის მძლავრი საბადოები.

ძირითად საბადოს წარმოადგენს ციხის უბნის საბადო, სადაც ასკანიტის მარაგი დაახლოებით უდრის 5.000.000 ტონას. ციხის უბნიდან ჩრდილოეთ-დასავლეთით ორ კილომეტრის მანძილზე არის მთის პირის საბადო, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივაა გამოკვლეული. გამოკვლევის შედეგები გვაძლევს საშუალებას საორიენტაციოდ განვსაზღვროთ ასკანიტის მარაგი 2.400.000 ტონით. ამას გარდა, არის მთელი რიგი უბნები, სადაც მოიპოება ასკანიტის უდაო ნიშნები. მათ რიცხვს ეკუთვნის ლამის უბნის საბადო, რომლის მარაგი შეადგენს 100-200 ათას ტონას, ვანის ქედის საბადო, სადაც ასკანიტის მარაგი ნაპარაუდევია 900.000 ტონით. მეტად მაღალი ხარისხის ასკანიტი აღმოჩენილია გობათურში.

3 ა რ უ ა 3 ა

18 აგვისტოს პრეზიდენტის რეზიდენცია საალაში გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ პრეზიდენტის მეუღლე მიხაილია მოშიციკისა. განსვენებული ერთი უშესანიშნავესი და თავდადებული ეროვნული მოღვაწე იყო. ჯერ კიდევ მონობის ხანაში, მეოთხმოცდაათიან წლებში ახლად გიმნაზია დამთავრებული ებმება ის ახალგაზღვრი გატაცებით ეროვნულ მოძრაობაში და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ყოველგვარ რუსეთის საწინააღმდეგო გამოსვლებში. ხშირად ეროვნული ორგანიზაციის დავალებით ის ყუმბარებსაც კი აზნადებს და აწვდის მებრძოლ რევოლუციონერებს. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ის თვის რუსეთის მთავრობის მიერ დევნილ ქმართან ერთად იზიარებს ემიგრანტულ დევნილ ცხოვრებას. ემიგრაციაში ოჯახობა მოშიციკებისა ცნობილია როგორც დაუძინებელი მტერი რუ-

სეთისა და მატარებელი პოლონეთის დამოუკიდებლობის იდეისა. ომის დაწყებისთანავე, მისი ორივე ვაჟი ეწვრებიან მოხალისეებად პოლონეთის ლეგიონებში და იზიარებენ მთელს იმ გმირულ ბრძოლაწამების ეპოპეას, რომელიც განვლო და განიცალა იოსებ პილსუდსკის ლეგიონებმა. დამოუკიდებლობის დღიდან მიხაილია მოშიციკისა გატაცებით ლებულობს მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არის არჩეული ქ. ლვოვის ხმოსნად, თავმჯდომარედ და ხელმძღვანელად მრავალ ქალთა და სხვა ეროვნულ საქველმოქმედო საზოგადოებათა. ამ საზოგადოებრივ-ეროვნულ მუშაობას განაგრძობდა მამინაც კი, როცა მისი ქმარი პრეზიდენტად აირჩიეს...

გასულ თვეს ვილნოში მოულოდნელად გარდაიცვალა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზდა კაპიტანი დავით მაჭავარიანი. განსვენებული ერთი საუკეთესო ჩვენი, მხედართაგანი იყო. მის დასაფლავებას დაესწრო აუარებელი ხალხი, სხვადასხვა პოლკის ნაწილები, ორასამდე პოლონელი აფიცერი დივიზიის უფროსის მეთაურობით. კუბოს მრავალი გვირგვინი ამკობდა. გახეთქმა მიუძღვნეს მსურველე წერილები განსვენებულის ხსოვნას და მის ტანჯულ სამშობლოს. წარმოთქმულ სიტყვებში აღსანიშნავი იყო მსურველე გრძობით გამსჭვალული სიტყვა საქართველოს ცნობილი მეგობარის, განსვენებულის პოლკის უფროსის პოლკოვნიკ პელიჩინსკისა. ქართულად მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა პორუჩიკმა მ. მათიკაშვილმა.

19 აგვისტოს, გიორგი ნაკაშიძემ პოლონურ ენაზე წაიკითხა მოხსენება ვარშავის რადიოში «რამოდენიმე სიტყვა საქართველოზე», რომელშიდაც გააშუქა საქართველოს წარსული და თანამედროვე მდგომარეობა.

ფრანგული გნის უფასო კურსები.

საფრანგეთში მეოფე ქართველთა ასოციაციის გამგეობა აცნობებს მსურველთ, რომ დაარსებულია

შრანგული ენის უფასო კურსები.

მეცადინეობა სწარმოებს ორშაბათობით და ხუთშაბათობით საღამოს 8—10 საათზე.

მისამართი: 5, Villa d'Orléans. მეტრო Alesia. გამგეობა.

დასაბეჭდი წიგნები, ფული და სხვა უნდა გამომგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r O U R A T A D Z E
10, rue Jules Ferry, Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France